საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 63 (865) | სამშაბათი, 19 აპრილი, 1994 წელი | ფასი 5000 კუპონი

სტუმრები ვატიკანიდან

18 აპრილს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდნენ ვატიკანის აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციის უფროსი კარდინალი აკილე სილვესტრინი და მონსინიორი კლაუდიო გუჯეროტი.

სავარაუდოა, რომ ვატიკანის დელეგაციის წევრები შეხვდებიან სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II, საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს.

პარლამენტის პრესცენტრ-საქინფორმი.

პურის ფასმა ჯერჯერობით არ უნდა მოიმატოს

საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტმა ანზორ ბურჯანაძემ აღიარა, რომ დროთა განმავლობაში პურფუნთუშეულის ფასების მომატება გარდუვალი იქნება, და გარკვეულწილად უნდა შეესაბამებოდეს ამ პროდუქციის წარმოების რეალურ დანახარჯებს. დღეს ხომ ერთი პურის გამოცხობა 24 ათასი კუპონი ჯდება, არადა იგი ნორმირებულად 700 კუპონად იყიდება. მაგრამ სანამ ჯერჯერობით არ ამოქმედდება მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმი, საამისოდ არ მომზადებულან შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, პირველი საჭიროების პროდუქტის ფასები სახელმწიფომ არ უნდა გაზარდოს.

— რით იყო გამოწვეული პურის ცხობასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი ხიძნელენი?

— წარმოიქმნა გაუთვალისწინებელი შეფერხებები ევროკრედიტის გაფორმების პროცესში, რომლებიც დავძლიეთ. ამას მოჰყვა ის, რომ მივიღეთ ცნობა ბოსფორის სრუტის რაიონში დიდი ავარიისა და მისი ჩაკეტვის შესახებ, სადაც შეფერხდა ის გემებიც, რომლებსაც ფქვილი და ხორბალი მოჰქონდათ საქართველოსათვის. რესპუბლიკის მთავრობის ოპერატიული ჩარევის შემდეგ ჩვენი გემები პირველთა შორის გამოატარეს.

საბოლოო ანგარიშით მივიღეთ 16 ათასი ტონა ფქვილი, რამდენიმე ათეული ათასი ტონა ხორბალი. ტვირთი კვლავაც მოდის.

— მიიღებს თუ არა მოსახლეობა შეპირებულ ფქვილს?

— უახლოეს ხანში მოქალაქენი მიიღებენ წლის პირველი ორი თვის ფქვილს, შემდგომი თვეების ანგარიშში კი გათვალისწინებულია მოსახლეობას ნორმით გაუნაწილდეს მაკარონეული.

ნიჟნინოვგოროდელი ქართველების დახმარებით

ქართველების დიდმა ჯგუფმა, რომლებიც ერთ დროს თბილისიდან, ქუთაისიდან, გორიდან, ხაშურიდან სამუშაოდ გაემგზავრნენ ნიჟნი ნოვგოროდში და შექმნეს იქ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშემწყობი ფონდი, გამოგზავნა სამ მილიონ მანეთზე მეტი, რომელიც საქველმოქმედო მიზნებისათვის იქნება გამოყენებული. საქართველოდან წასულმა ბიზნესმენებმა, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რიგითმა მუშებმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარეს ისეთ ფირმებთან, ასოციაციებსა და ფილიალებთან, როგორიც არის „ამერიკა-რუსეთის კომერციული ალიანსი“, „ლენდი“, სავაჭრო სახლები „თეა“, „მზია“, „ცისარტყელა“, სამშენებლო-კომერციული გაერთიანება „ცენტრი“ და სხვ. მათ რეგულარულად შეაქვთ თავიანთი შემოსავლის გარკვეული წილი ამ ფონდში. უკვე შეტანილია ოცდაათ მილიონ მანეთზე მეტი, რომელიც მოხმარდება აფხაზეთიდან ლტოლვილების, თბილისში 1991 წლის დამლევისა და 1992 წლის დამდეგის დაპირისპირების დროს დაღუპულთა ოჯახების, მრავალშვილიანი დედების, საზღვარგარეთის ქვეყნებში სასწავლებლად გაგზავნილ სტუდენტებისათვის დახმარების გაწევას, ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებას, კულტურისა და სპორტის განვითარებას.

ნიჟნინოვგოროდელმა „საქმოსანმა“ ქართველებმა შეიმუშავეს აგრეთვე ნიჟნი ნოვგოროდში და ნაწილობრივ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოთა უპროცენტო და ანალიტიკური მომსახურების ღონისძიებანი, შემდეგ კი მათ პროდუქციას გამოიყენებენ მოსახლეობისათვის. ეს საშუალებას მისცემს მათ უახლოეს ხანში საქართველოს სავაჭრო ქსელი მოამარაგონ პირველი საჭიროების სამრეწველო საქონლით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
თ. ნინიძის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტში „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალურ წარმომადგენლად დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი **თევდორე ნინიძე.**

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, **1994 წლის 18 აპრილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

თეიმურაზ ილიას ძე მოსაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შეიქმნა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის თეიმურაზ ილიას ძე მოსაშვილის დამკრძალავი კომისია ირაკლი ტულუშის (კომისიის თავმჯდომარე), ირაკლი ანდრიაძის, სიკო გეგიაძის, დემირ ნოზაძის, შალვა ობგაიძის, იოსებ ხარატიშვილის შემადგენლობით.

თ. ი. მოსაშვილი დაიკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

ყველამ ერთად ავაშენოთ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო

გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენის — მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა და მთავრობების ხელმძღვანელთა შეხვედრის შედეგები და მიღებული კოლექტიური უშიშროების საბჭოს განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების შესახებ ჟურნალისტ **ნატო ონიანის** თხოვნით გააანალიზა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში.

— მე უკვე გამოვთქვი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლესი დონის თათბირზე მიღებულ ამ განცხადებას, რომელიც, უდავოდ, კარგ პერსპექტივას სახავს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ვერც ერთ გზაზე ვერ ვიტყვით უარს. ძალაში რჩება მოლაპარაკების ის პროცესი, რომელიც გაეროს ხაზით მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ეს მიმართულება ერთ-ერთი უმთავრესია. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ახლა უკვე რეალურად ჩანს თანამეგობრობის ქვეყნების კონკრეტული მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. შეიძლება იყოს კიდევ სხვა გზაც — გზა, რომელზეც ხშირად ლაპარაკობენ, — სამხედრო გზა. მე ვიტყოდი, რომ მესამე გზისათვის მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ ამავე დროს ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს სამშვიდობო ვარიანტები, ყველა შესაძლებლობა ბოლომდე ამოიწუროს.

ფაქტი ის არის, რომ ეს პრობლემა გადაუჭრელი ვერ დარჩება. აფხაზეთი არ დაიკარგება, ეს არ მოხდება, ჩვენს დროში ამის დაშვება შეუძლებელია. მთავარი ის კი არ არის, რომ დავიბრუნებთ, მთავარია, ეს დროზე მოხდეს. ადრე უნდა მოხდეს, რამდენადაც კი შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში. ამიტომ, ვფიქრობ, ახლა მოსკოვში გამოკვეთილი ვარიანტი შეიძლება რეალური გახდეს, თუ ეს უფრო ადრე მიგვიყვანს დასახულ მიზნამდე. გაეროს ძალები თუ შემოვლენ, შემოვლენ უფრო მეტად როგორც ნეიტრალური ძალები და ეს პროცესი გაჭიანურდება (ჟენევაში იყო ლაპარაკი, რომ შეიძლება აგვისტოსთვის, ცოტა ადრე ან გვიან, შეკრიბონ გარკვეული შენაერთები და ა. შ.), ასეთი ვარიანტები ჩვენთვის მიუღებელია. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რაც მოხდა მოსკოვში. ეს კიდევ ერთი შანსია, რომ აფხაზეთის კონფლიქტი დროულად მოწესრიგდეს, ხალხი დროულად დაბრუნდეს, დაბინავდეს და შეუდგეს ნორმალურ ცხოვრებას. ვინც მეტ გარანტიას მოგვცემს, ჩვენი სასწორი იმისკენ გადაიხრება.

ჩვენ გაეროს მოვუწოდეთ იმოქმედოს დროულად, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ლტოლვილებს შეუქმნის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების გარანტიას, ასევე შექმნის საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და მთლიანობის გარანტიებს და ამ სახელმწიფოებრიობის ფარგლებში აფხაზთა უფლებების დაცვის შესაძლებლობას. ეს მოსკოვის განცხადების ერთი მხარეა. მეორე მხარე კი ის არის, რომ, თუ რაიმე მიზეზების გამო ეს არ მოხერხდა, მაშინ თანამეგობრობა, კოლექტიური უშიშროების საბჭო თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანის თაობაზე.

ედუარდ შევარდნაძის 18 აპრილის რადიოინტერვიუ

ჩემი აზრით დღევანდელ ეტაპზე ეს ძალიან სერიოზული მონაპოვარია. დღეს მექნება შეხვედრა იმ დელეგაციასთან, რომელსაც გავგზავნი მოსკოვში. ალბათ, ისევ ბატონი სანდრო კავსაძე გაემგზავრება სხვა წარმომადგენლებთან ერთად და უკვე მოსკოვში დავიწყებთ რეალური ვარიანტების ძებნას, რათა მიღებული განცხადება ცარიელ სიტყვებად არ დარჩეს ქაღალდზე და არ გაჭიანურდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ამავე დროს არც ჟენევაში შეჩერებულა პროცესი. დღეს ან ხვალ იქ განახლდება სხდომები. ახლა უფრო წინა პლანზე წამოიწევს აფხაზეთის სტატუსის საკითხი. გუშინ გაემგზავრა ჩვენი სპეციალისტებისა და ექსპერტების კიდევ ერთი ჯგუფი. იქ არიან ჯაბა იოსელიანი, სხვა ჩვენი წარმომადგენლები და ის პროცესი თავისი გზით უნდა წარიმართოს. ვნახოთ, რომელი გზა იქნება უფრო მოკლე, უმსხვერპლო და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტიის მომცემი.

— მიღებული დოკუმენტებიდან თქვენ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და მათს საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს ჩვენი სუვერენიტეტის ერთ-ერთი რეალური გარანტიაა?

— თვით თანამეგობრობის წესდებასა და სხვა პოლიტიკური მნიშვნელობის ნორმატიულ დოკუმენტებში პრინციპულად არსებობს ის მოსაზრებანი და დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია დეკლარაციაში, მაგრამ გაფანტულად — სხვადასხვა თავებსა და დოკუმენტებში. ამას კაცი ყველგან ამოიკითხავს. მაგრამ ამ დროს, როცა თანამეგობრობის ბევრი ქვეყნის წინაშე წამოიჭრა სერიოზული პრობლემები სწორედ ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრებთან დაკავშირებით, როცა ზოგ ქვეყანაში დაიწყო მოძრაობა საზღვრების გადასინჯვისათვის, მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე მიმდინარეობს კონფლიქტები და ბევრი ქვეყნის ერთიანობას, მთლიანობას, განუყოფლობას, საზღვრების შეუვალობას უშუალო საფრთხე შეექმნა, ამიტომაც მიმაჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე, როცა ჩვენ კრიზისს ვუახლოვდებით, დეკლარაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცოტა არ იყოს, იმ პრესკონფერენციიდან გულდაწყვეტილიც კი გამოვედი იმის გამო, რომ არც ჟურნალისტებსა და პრესკონფერენციის სხვა მონაწილეებს ამ დოკუმენტისათვის საჭირო ყურადღება არ მიუქცევიათ, და ამის გამო ამ დოკუმენტის ძალიან მნიშვნელოვანი დებულებები ჩვენ ყურადღების მიღმა დარჩა.

ვიმეორებ: ტერიტორიული მთლიანობის მოთხოვნა, სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, შინაურ საქმეებში ჩაურევლობის და ზოგიერთი სხვა პრინციპის აღიარება — ყოველივე ეს თანამეგობრობის ქვაკუთხედად და ფუნდამენტად უნდა იქცეს: ასეა გაცხადებული ამ დო-

(დასასრული მე-2 გვ.).

დეკლარაცია
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურები,

ხელმძღვანელობენ რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების ხალხთა მისწრაფებით დაიცვან და განამტკიცონ ტრადიციულად მჭიდრო მეგობრული კავშირი და კეთილმეზობლური ურთიერთობა,

მხედველობაში იღებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებასთან დაკავშირებული პრობლემები თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, საერთოევროპული და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის, თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონტექსტით,

გამოთქვამენ სერიოზულ შეშფოთებას სხვადასხვა ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების გამო,

ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიზნებითა და პრინციპებით, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფუძემდებელი დოკუმენტებით, პატივს მიაგებენ, აგრეთვე, ადასტურებენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვეობას, უარს ამბობენ კანონსაწინააღმდეგო ტერიტორიულ შენაძენებსა და სხვისი ტერიტორიის დაქუცმაცებისათვის გამიზნულ ნებისმიერ მოქმედებაზე,

ითვალისწინებენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს, უარყოფენ და გმობენ ძალის ან ძალის დამუქრების გამოყენებას,

შეგნებული აქვთ, რომ ურთიერთდაკავშირებულია თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა უშიშროება,

როგორც თანამეგობრობის განმტკიცების საერთო მიზნების ერთგულნი,

აცხადებენ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები:

1. უზრუნველყოფენ თავიანთ ურთიერთობაში სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის პრინციპებს,
2. ადასტურებენ, რომ აგებენ რა თავიანთ ურთიერთობას, როგორც მეგობარი სახელმწიფოები, თავს შეიკავებენ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ან ნებისმიერი სხვა ფორმის ზეწოლისაგან, მათ შორის, ბლოკადისაგან, რომ მხარს არ დაუჭერენ და არ გამოიყენებენ სეპარატიზმს თანამეგობრობის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, აგრეთვე, პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ,
3. ამტკიცებენ, რომ ტერიტორიების მიტაცება ძალის გამოყენებით არ შეიძლება აღიარებულ იქნეს, ხოლო სახელმწიფოთა ტერიტორიების ოკუპაცია — გამოყენებული საერთაშორისო აღიარების ან მისი სამართლებრივი სტატუსის შეცვლის თავსმოხვევისათვის.
4. გამოთქვამენ რწმენას, რომ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობა.
5. აღკვეთავენ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად თავიანთ ტერიტორიებზე ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნასა და საქმიანობას, აგრეთვე ცალკეული პირების მოქმედებას, რომლებიც მიმართულია თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ან მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას.
6. ადასტურებენ, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ დავისა და კონფლიქტების მოწესრიგებას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეთანხმებული მექანიზმების გამოყენების მეშვეობით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნებისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში მიღებული შესაბამისი დოკუმენტებით.
7. თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურები შეხვედრების დროს რეგულარულად განიხილავენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფუძემდებელი დოკუმენტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მათი ეფექტიანი დაცვის მიზნით ამ დეკლარაციაში განხილულ საკითხებზე შეთანხმებების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ხელმოწერილია ქალაქ მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს ერთ ნამდვილ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ნამდვილი ეგზემპლარი ინახება ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც ამ დეკლარაციის ხელმომწერ სახელმწიფოებს დაუგზავნის დამოწმებულ პირს.

კოლექტიური უშიშროების საბჭოს განცხადება
ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დაცვის ოპერაციის განხორციელების შესახებ

წელიწადნახევარზე მეტია, რაც მოუგვარებელია კონფლიქტი აფხაზეთში. იმის მიუხედავად, რომ წლეულს, 4 აპრილს, ხელმოწერილია განცხადება კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ, რომელშიც მხარეებმა ივალდებულეს მკაცრად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტა, არ გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ ძალა და მისი გამოყენებით დამუქრება, აგრეთვე, ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ, ვითარება კონფლიქტის ზონაში კვლავ რთულია. უკვე ამ დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ იყო შეიარაღებულ შეტაკებათა შემთხვევები. ვითარება აფეთქებასაშიშია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება.

დოკუმენტები, რომლებიც მიღებული იყო ქართველთა და აფხაზთა შორის, დეკემბრიდან მიმდინარე კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით, შეიცავენ მიმართვებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსადმი მშვიდობის დაცვის ოპერაციათა რაც შეიძლება მალე დაწყების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალებისა და რუსეთის სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობით.

ამ ოპერაციის რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს უმწვავესი პრობლემის გადაჭრას — მშობლიურ ადგილებში ათი ათასობით ლტოლვილის უსაფრთხო დაბრუნებას. მაგრამ სამშვიდობო ოპერაციათა განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული.

კონფლიქტის ზონაში ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს, სამშვიდობო ძალების შეყვანის გადადება დაუშვებელია.

ადასტურებენ რა თავიანთ ერთგულებას ლტოლვილთა პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრისადმი, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფისადმი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოები — კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების მონაწილენი — მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების თაობაზე.

კოლექტიური უშიშროების საბჭო აცხადებს, რომ მზად არის, თუ რაიმე მიზეზით ასეთი გადაწყვეტილება უახლოეს ხანში არ იქნება მიღებული, ხელშეკრულების შინაარსისა და პრინციპების შესაბამისად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მონაწილე სახელმწიფოთა მშვიდობიანი, უსაფრთხო განვითარება, კონფლიქტის მონაწილე მხარეთა თანხმობით, კონფლიქტის ზონაში შეიყვანოს ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოთა ჯარის კონტინგენტებისაგან შემდგარი სამშვიდობო ძალები.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა მონაწილე სახელმწიფოს მოვუწოდებთ მონაწილეობა მიიღონ ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისიის შესრულებაში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალ სახელმწიფოთა ძალებით ოპერაციის განხორციელება ამ შემთხვევაში წარიმართებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამოქმედების კალაპოტით, მისი წესდების მერვე თავის შესაბამისად, რომელშიც წახალისებულია მშვიდობის დაცვის დარგში რეგიონული ორგანიზაციების ძალისხმევა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის — კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ყველა მოქმედება შეხამებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მხარდაჭერის გამოყენებასთან. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, თუ გაიზრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით აფხაზეთში უკვე ჩამოსულ საერთაშორისო მეთვალყურეთა რიცხვი, თუ ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ სამშვიდობო ძალების სარდლობასთან. ასევე მივესალმებოდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მზადყოფნას, თუ მხარს დაუჭერს ასეთ სამშვიდობო ოპერაციას დამატებითი კონტინგენტებით.

მერვე სვეტი

გამოფენა ზუგდიდში

18 აპრილს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ზუგდიდის ორგანიზაციის ინიციატივით ქალაქის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. აქ ექსპონირებულია აფხაზეთში დაღუპულ ახალგაზრდა მხატვართა ტილოები. იმ დღესვე შედგა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრების ადა მარშანიას, გია ჟორჟოლიანის და გია ბარამიძის შეხვედრა რესპუბლიკის მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს და სათათბიროს წარმომადგენლებთან.

პარლამენტარებმა უპასუხეს შეკითხვებს, რომლებიც შეეხებოდა საქართველოში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პრობლემებს.

თამაზ როგავა.

დახმარება არ წყდება

საქართველოს რკინიგზას რუსეთის გზათა სამინისტროს 10 მილიარდ მანეთზე მეტი მართებს. პირველი აპრილიდან გზათა სამინისტროს ხელმძღვანელობა აპირებდა შეეწყვიტა მასალების, მოწყობილობისა და დეტალების მიწოდება საქართველოს რკინიგზელებისათვის. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი დახმარებას მათგან კვლავინდებურად იღებს. და ეს ვლინდება თუნდაც იმით, რომ საქართველოდან შემადგენლობები დაუბრკოლებლად მიდის რუსეთში და ბრუნდება უკან. ეს აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს დეპარტამენტის უფროსმა რემი ვაშაკიძემ.

ახალი ტერორისტული აქტი

17 აპრილს, ღამით, უცნობმა პირებმა ავტომატით დაცხრილეს საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „ხმის“ ოფისი და საგამოფენო დარბაზი ლესელიძის ქუჩა № 8-ში, სადაც ამჟამად მოწყობილია 9 აპრილის მოვლენების ამსახველი უნიკალური გამოფენა „გახსოვდეს 9 აპრილი“.

საბედნიეროდ ამ დროს ოფისში არავინ იყო.

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გახშირდა ჟურნალისტთა მისამართით ჩადენილი ტერორისტული აქტები. დადგა დრო საქართველოს ხელისუფლებამ და საზოგადოებრიობამ მეტი ყურადღება მიაქციონ ჟურნალისტთა უფლებების დაცვას.

ლალი შაიშმელაშვილი.

შეხვედრა მოსკოვში

სურათებზე: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები კრემლში; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე** ემზადება გამოსვლისათვის; მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ...

საქინფორმის ფოტოქრონიკა.



ყველამ ერთად ავაშენოთ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო

(დასასრული)

ქუმენტის მიხედვით. მრავალ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვან დებულებებთან ერთად აქ არის ჩვენთვის და, არა მარტო ჩვენთვის, დიდად საყურადღებო ფრაზა, რომ არ იქნება და არც უნდა იყოს გამოყენებული სეპარატიზმი, სეპარატისტული მოძრაობები იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფოთა მთლიანობის პრინციპის ხელყოფა. ესე იგი, პრაქტიკულად სეპარატისტულ მოძრაობათა მიმართ ჩამოყალიბდა თანამეგობრობის წევრი ყველა სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა და ერთიანი პოზიცია. ამას დღეისთვისაც და მომავლისთვისაც არსებითი მნიშვნელობა ექნება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სეპარატიზმის, როგორც მიმდინარეობის დაფიქსირებაში, თავად ამ ფორმულების ძიებასა და აღნუსხვაში საქართველოს პრიორიტეტიც არის, და არა მარტო საქართველოსი. ბოლოს და ბოლოს, ყველამ გაიაზრა და გაითავისა, თუ რამდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვეობისათვის აგრესიული სეპარატისტული მოძრაობა.

ამ თემასთან დაკავშირებით ვიტყოდი, რომ თუ თანამეგობრობა აღნიშნული პრინციპების ერთგული იქნება, მაშინ ეს გაერთიანება სულ უფრო მეტად მიიღებს საერთაშორისო, ჭეშმარიტად სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების ხასიათს, საერთაშორისო სტატუსს. ვიმეორებ: თუ ჩვენი ურთიერთობა თანამეგობრობის ფარგლებში ამ პრინციპების საფუძველზე აშენდება, მაშინ ეს იქნება საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა სახელმწიფო, მომავალში შეიძლება, სხვებიც, თავისუფლად ითანამშრომლებენ და გარკვეული წარმატებითაც, რათა შეასრულონ თავიანთი მიზნები და მიიღონ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტიები. თუ ეს პრინციპები დაცული იქნება, მაშინ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა შეიძლება ჩვენი თანამეგობარი ქვეყნებისათვის თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების ერთ-ერთი გარანტი გახდეს.

— შეკრებაზე ხელი მოაწერეს ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულებებს თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ, ერთიან ეკონომიკურ სივრცესთან დაკავშირებით, სხვა ხელშეკრულებებს. მოგვიანებით თქვენ ამ დოკუმენტებს ხელსაყრელი ეკონომიკური ინტეგრაცია უწოდეთ. თქვენი აზრით, რამდენად გრძნობს დღეს რუსეთი თანაბარ უფლებებზე ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას და რამდენად შეუწყობს ხელს ეკონომიკური ინტეგრაცია პოლიტიკურ ინტეგრაციას?

— საერთოდ, ეკონომიკური ინტეგრაცია დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი ტენდენცია გახლავთ. მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ თავი რომ დააღწია ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, და ასეთი უამრავი მაგალითია აღმოსავლეთში, სამხრეთსა თუ დასავლეთში, იმის შედეგია, რომ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარიმართა ეკონომიკური ინტეგრირების პროცესი. ეკონომიკური ინტეგრაცია ყოველგვარი თანამედროვე გაერთიანების თუ ალიანსის საფუძველია. რაც ჩვენ წამოვიწყეთ — შავი ზღვის ქვეყნების გაერთიანება — მისი საფუძველიც ეკონომიკური ინტეგრაცია უნდა გახდეს. თანამეგობრობა დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეებზე სტაბილურობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი შეიძლება გახდეს და კიდევაც გახდება, თუ სწორად წარიმართება ეკონომიკური პროცესები, ეკონომიკური დაახლოება ანუ ეკონომიკური ინტეგრაცია. თუ ეს არ მოხდა, მაშინ დამატებითი სიძნელეები წამოიჭრება პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში. ვფიქრობ, წინა წლებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფორმირებაზე ჩვენ ყველამ, ყველა სახელმწიფომ უნდა ვიზრუნოთ, როგორც წარმონაქმნზე, რომელიც დამოუკიდებელი განვითარების ერთგვარი გარანტის როლში გამოდის. ეს სავსებით შესაძლებელია, და თუ ამაზე არ ვიზრუნებთ, მაშინ შეიძლება მივიღოთ ჩვენი ცხოვრებისა და განვითარებისათვის საკმაოდ მიუღებელი ვარიანტები. დღეს ყველა ვხედავთ რეალურად და პრაქტიკულად რას ნიშნავს, რა არის, როცა ესა თუ ის რეგიონი არ ფიქრობს საკუთარ გარანტიებზე. საშინლად ტრაგიკულად დატრიალდა ყოველივე ეს იმის გამო, რომ ყოფილ იუგოსლავიაში უგულებელყვეს ყველაფერი, რაც საჭირო და სასარგებლო იყო თუნდაც ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამიტომ ვფიქრობ, ეკონომიკური ინტეგრაცია, ერთიან სივრცეზე ფიქრი მეცნიერებაში, კულტურაში, სამართლებრივ სფეროსა და სხვა დარგებში, და ესეც ჩაწერილია მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტებში, შეიძლება გახდეს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის გარკვეული გარანტი თანამეგობრობის ქვეყნებისათვის, მაგრამ საფუძველი მაინც ეკონომიკური ინტეგრაციაა.

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვები: ამ ინტეგრაციის ხელსაყრელობასა და სასარგებლო თვისებებთან ერთად არის თუ არა მოსალოდნელი რაიმე დიდმპყრობელური ტენდენციების გამოკვეთა? ამის გამორიცხვა შეუძლებელია. მაგრამ, როდესაც ჩვენ ერთად ვართ, როდესაც არსებობს ამ პროცესების მართვის ისეთი ქმედითი სისტემა, როგორიც არის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო, მთავრობების მეთაურთა საბჭო და სხვა მრავალი დამზღვევი ინსტრუმენტი, ჩემი აზრით, ასეთი უარყოფითი ტენდენციების გაბატონება ნაკლებმოსალოდნელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ეს სავსებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ. უფრო იოლია გავაკეთოთ ეს ყველამ ერთად, ვიდრე ცალ-ცალკე, როცა ლაპარაკი იქნება ორმხრივ ურთიერთობაზე, როცა წინა პლანზე წამოიწევს მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობანი. ამით არ მინდა დავამცირო ორმხრივი ურთიერთობის მნიშვნელობა.

მას შემდეგ, რაც ეკონომიკის სფეროში ეს დოკუმენტები ხელმოწერილია, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ინიციატივაზე. მე მხედველობაში მაქვს მინისტრთა კაბინეტი, ცალკეული სამინისტროები, გაერთიანებები, კერძო ბიზნესი და საერთოდ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელთაც აქვთ საშუალება და, ამავე დროს უფლებაც, დაამყარონ ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებთან ეკონომიკის სფეროში. ასე რომ, პერსპექტივა კარგი და საინტერესოა. მთავარია, რამდენად ინიციატივიანად და გაბედულად ვიმოქმედებთ ამ ეტაპზე.

— გასულ კვირას ნატოს ბომბდამშენების მიერ გორაჟდეში ბოსნიელ სერბთა პოზიციების დაბომბვის ფაქტს თქვენ ისეთი შეფასება მიეცით, რომ ეს არის ომებზე, როგორც კატეგორიაზე და როგორც ფსიქოლოგიურ ფენომენზე დარტყმის პირველი სერიოზული მცდელობა. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია იუგოსლავიაში ნატოს მონაწილეობა და ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ნატომ იკისრა ის სამშვიდობო ფუნქცია, რომელზეც თქვენ გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ აფხაზეთში ომის დაწყებამდე ლაპარაკობდით?

— რაც შეეხება კონკრეტულად იუგოსლავიის საკითხს, აქ, ჩემი ანალიზით, დაშვებულია უამრავი შეცდომა და უამრავი ცოდვა, დაწყებული ამ სახელმწიფოს დაშლის პირველი ეტაპიდან. იმ ქვეყნებმა, რომლებსაც შეეძლოთ გარკვეული როლი შეესრულებინათ, რათა საქმე ასეთ ტრაგედიამდე არ მიეყვანათ, ერთმანეთში ვერ მოილაპარაკეს და ერთმანეთთან თანხმობას ვერ მიაღწიეს. მაგრამ ეს უკვე იყო, ეს უკვე მოხდა.

ედუარდ შევარდნაძის 18 აპრილის რადიოინტერვიუ

ახლა მინდა მეორე, უფრო პრინციპულ და არსებით საკითხს შევეხო. დღეს იუგოსლავია, ხვალ შეიძლება სხვა ქვეყნის, ვთქვათ, საქართველოს, სომხეთ-აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის პრობლემა იყოს. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ძალიან ძნელი გამოსარიცხია, რომ შესაძლოა სხვა რეგიონებშიც აღმოცენდეს ასეთი რამ. ამიტომ, ჩემი აზრით კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გაუთავებელი დებატები და დისკუსიები, გაეროსათვის დამახასიათებელი აუჩქარებლობა — ამას ადრე მე აკადემიურ სტილს ვუწოდებდი — საბოლოო ჯამში უმძიმესი შედეგებით მთავრდება. ხშირად ჩვენვე ვხვდებით ჩვენსავე ან ჩვენი წინამორბედების მიერ გამოგონებული თუ შედგენილი დებულებების ტყვეობაში და ამ ტყვეობიდან ვერაფრით ვერ დაგვიღწევია თავი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბოლოს და ბოლოს, გაერომ უნდა იკისროს მსოფლიოს უმაღლესი მსაჯულის როლი. აქედან გამომდინარე ყველა შედეგით — შესაბამისი ინსტიტუტებით, სტრუქტურებით და ა. შ. სხვათა შორის, ეს ყველაფერი პრაქტიკულად ჩადებულია მის წესდებაში, სტრუქტურაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით გაეროს ელის სერიოზული საფრთხე. გაეროს რეფორმების საინტერესო იდეა, რომელიც გენერალური მდივნის მოხსენებაში იყო ჩამოყალიბებული და მე მივესალმე მას, კონკრეტული მოქმედებით უნდა გამოიხატოს და არა რეზოლუციათა სიმრავლით.

ერთი წლის განმავლობაში გაერომ ბევრი შესანიშნავი რეზოლუცია მიიღო აფხაზეთის გამო. რა გამოვიდა? რამდენი შესანიშნავი რეზოლუციაა მიღებული იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების შესახებ, 5 თუ 6 რეზოლუცია — ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. როგორც იტყვიან, ეს „რეზოლუციების წვიმა“ უნდა დამთავრდეს და უნდა დაიწყოს პრაქტიკული, გაბედული მოქმედება კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება უახლოეს მომავალში არა მარტო კონფლიქტებთან, არამედ ძალიან დიდმასშტაბიან ომებთან გვქონდეს საქმე.

— მოსკოვიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სათათბიროზე თქვენ თქვით, რომ უნდა იყოს ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი. პოლიტიკურ პარტიებთან საჭიროა დიალოგის დაწყება, გაერთიანება და თანამშრომლობა თუნდაც იმ ხუთი-ექვსი ძირითადი პრინციპის გარშემო, რომლებიც, ალბათ, თავისთავად ყველა ძალას აერთიანებს. მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის ასეთი განცხადებები, ფაქტობრივად, ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდის დროს, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არჩევნებში მოქალაქეთა კავშირი მარტო გამოვა და რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ან ორგანიზაციებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას?

— როცა მოქალაქეთა კავშირის სათათბიროზე ტოლერანტობასა და იმ პრინციპებზე ვლაპარაკობდით, რომელთა მიხედვითაც უნდა იცხოვროს საქართველოს ყველა მოქალაქემ, პირველ რიგში მხედველობაში მყავდა მოქალაქეთა კავშირი და საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი. არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ მივესალმო შესანიშნავ მეგობარსა და კარგ მეცნიერს, დიდ ფილოსოფოსს ნიკო ჭავჭავაძეს, რომელმაც ამას წინათ ჩვენს პარლამენტში ასე გაბედულად დააყენა ეს საკითხი. საქართველოს სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შევძლებთ ჩვენ ძმურად, მეგობრულად, როგორც თანამოქალაქეებმა, ვიცხოვროთ ყველა ხალხთან, რომლებიც დღეს საქართველოში რეალურად ჩვენთან ერთად ცხოვრობენ. ეს იყო ძირითადი ლაიტმოტივი. ტოლერანტობა — ეს თვისება გონებაში, სისხლში უნდა ჰქონდეს გამჯდარი ყველას, ვინც თავისი ბედი მოქალაქეთა კავშირს დაუკავშირა. ამასთანავე მე წამოვაყენე ის იდეაც, რომ ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ყველა პატრიოტულ ძალასთან, რომლებიც სახელმწიფოებრივ დონეზე აზროვნებენ და რომლებისთვისაც უმთავრესი სახელმწიფოებრივი ინტერესებია. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ ერთიანი პლატფორმით გამოსვლის სხვადასხვა გზასა და ასპექტებს, იქნება ეს პარლამენტის არჩევნები, თუ მომავალში სახელმწიფოს მეთაურისა თუ პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის და სხვა არჩევნები. ახლა ვამჩნევ, რომ ბევრი პოლიტიკური პარტიის პოზიციაში თანდათანობით, მაგრამ მაინც ხდება გარკვეული ძვრები იმავე რუსეთთან, თანამეგობრობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ის აგრესიულობა, შეურიგებლობა, ამ ორი-სამი თვის წინათ რომ იყო დამახასიათებელი, იმდენად აღარ არის. ახლა ზოგიერთი ჩვენც კი გვისწრებს: როგორ გეკადრებათ, ამდენი ხანია გვინდოდა რუსეთთან ურთიერთობა და მეგობრობაო, არც თანამეგობრობას უარყოფენ... მე ამას მხოლოდ მივესალმები, რადგან ეს მიგვანიშნებს, რომ ჩვენი პარტიები უფრო რეალურად უყურებენ დღევანდელ ცხოვრებას. თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა, მე არ გამოვრიცხავ, რომ მოქალაქეთა კავშირი ზოგიერთ სხვა პოლიტიკურ ძალასთან ერთად გამოვა ერთიანი პლატფორმით, რათა ყველამ ერთად ავაშენოთ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო და გადავწყვიტოთ ურთულესი პრობლემები, რომლებიც სოციალურ სფეროში ამ წლების მანძილზე დაგროვდა, გადავარჩინოთ ერი და ქვეყანა. კიდევ ვიმეორებ, რომ არ გამოვრიცხავ ამ ბაზაზე ვითანამშრომლოთ ყველა ნამდვილად პატრიოტულ ძალასთან და ყველა მოქალაქესთან.

ამ ბოლო ხანს დედაქალაქში დამყარებული წესრიგის შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა თქვა:

— ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია: არც დიდი სიხარულის საფუძველი გვაქვს და არც დიდი იმედგაცრუების; ჩვენ თვითონ ვრწმუნდებით, რომ პრინციპში ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული და ჩვენ ხელთ არის. ჩემთვის ყოველი დილა დანაშაულობათა შესახებ ინფორმაციების გაცნობით იწყება. ამ დილით პირველად ვნახე ცნობა, რომ გუშინ საქართველოში 24 საათის განმავლობაში სულ 7 დანაშაული მოხდა: არ ყოფილა მკვლელობა, მძიმე დანაშაული და ეს ძველ დროშიც კი, როცა მართლაც უზარმაზარი მანქანა ებრძოდა დამნაშავეობას, ასეთი დღე იშვიათი იყო. არ მინდა ვთქვა, რომ ყველაფერი უკვე მოგვარებული და გადაწყვეტილია, მაგრამ ხომ ჩანს დადებითი შედეგი.

გუშინ მქონდა საუბარი თბილისის მერთან ქალაქის სისუფთავის შესახებ. ძალიან მოსახედია გლდანის რაიონი. ალბათ, გლდანელები დამეთანხმებიან ამაში. თუ საჭიროა, წავიდეთ ამ რაიონში, მოსახლეობაც გამოვა და ერთად დავასუფთაოთ გლდანი. სისუფთავესაც მოევლება, არავითარი ეპიდემია არ გავრცელდება, თუ ჩვენ საკუთარ თავს მოვუვლით, საკუთარ ეზოებს დავგვით და დავასუფთავებთ.

მე ვთხოვე ტელევიზიის ხელმძღვანელობას, აჩვენონ ხალხს, რომ ამუშავდა საწარმოები, თითქმის 80-მდე საწარმო ამუშავდა ამ დღეებში. 2-3 თვის განმავლობაში ხალხი არაფერს არ ქმნიდა. უნდა ვაჩვენოთ შრომის ეს პროცესი, ვაჩვენოთ, რომ იწყება მუშაობა, იწყება პროდუქციის შექმნა, და, პროდუქციას შევქმნით, დოვლათიც იქნება და პატარ-პატარა რეზერვები, რესურსებიც გაჩნდება იმისათვის, რომ ქვეყანამ იარსებოს და ისულდგმულოს. მართალია ნელა, მაგრამ მაინც იხვნება და ითესება მიწა, რაიონები ემზადებიან ჩაის კრეფის სეზონისათვის. ხალხს მუშაობა მოსწყურდა. დარწმუნებული ვარ, უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება რეფორმები. ხშირად გვისაყვედურებენ, რომ მთავრობა ანტირეფორმისტულია, პროგრამა, კონცეფცია არა გვაქვს. ყველას ვთხოვ, წაიკითხონ ის, რაც დაწერილია, ცნობილია და უკვე მოქმედებს. იგივე კრიზისიდან გამოსვლის გეგმა, რომელიც მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა და რომლის შესახებ ბრძანებულებასაც მე მოვაწერე ხელი. ასეთი გეგმა სოფლად, ქალაქად რეფორმების განხორციელების ეტაპები არსებობს. არის სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები, რომლებმაც საბოლოო სახე მიიღო. მინდა ყველას მოვუწოდო, გაეცნონ ყოველივე ამას. მარტო ზერელე ლაპარაკი რეფორმა არ არის, ანტირეფორმისტული ხელისუფლება გვყავსო, საქმეს ვერ უშველის და არც გამოსავალია.

გუშინ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, ყველაზე დიდი უბედურება დღეს რა არისო. მე ასე ვუპასუხე — არცოდნა და ხანდახან უვიცობაც-მეთქი. ახლა ისეთი დროა, რომ პატარა პროგრესიც კი დიდ ძალას უნდა გვმატებდეს. რატომ არ უნდა გვიხაროდეს, რომ ქალაქში ტრანსპორტი ამოძრავდა, წესრიგი დამყარდა. რატომ არ უნდა აღვნიშნოთ ეს, ესეც ხომ ადამიანებზეა დამოკიდებული. იგივე პოლიციელები — ათენებ-აღამებენ იმისათვის, რომ ქალაქს რაღაც დაეტყოს. რატომ არ უნდა ითქვას მათ მიმართ ორიოდე გულთბილი სიტყვა, ანდა, რატომ არ უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკაში რაღაც ძვრები დაიწყო. ხელოვნება რომ არსებობს და სულდგმულობს, განა ეს საკვირველი არ არის? გუშინ ოპერის თეატრში დავესწარი სპექტაკლს უცხოელი მსახიობების მონაწილეობით. დღეს, კუპონების პირობებში, ადამიანებმა რომ ეს მოახერხონ, ეს ხომ გმირობაა და ხომ ყველას უნდა უხაროდეს, მიესალმებოდეს და ამხნევებდეს მათ. ანდა ის, რომ მეცნიერების ლაბორატორიებში შუქი საბოლოოდ არ ჩაქრალა და ნახევრადმშიერი სწავლულები ქმნიან, მუშაობენ. რაღაცას მატებენ ქვეყანას. ანდა ჯარის შექმნაში რომ დაიწყო სერიოზული ამბავი: მოვიდა მშვენიერი, ლამაზი, ჯანსაღი ახალგაზრდობა. რატომ არ უნდა შევნიშნოთ ეს ყველაფერი! არის ასეთი ზოგიერთი გამამხნევებელი, იმედისმომცემი ტენდენცია, რომელიც ჩვენმა ხალხმაც უნდა იცოდეს, გარკვეულად სიმხნევეს და სიხარულს უნდა გვანიჭებდეს და არ იწვევდეს გაბოროტებას, როგორც ამას, სამწუხაროდ, ცალკეული ადამიანები ავლენენ.

ინფორმაცია — 94

მოჩხრიალებს კლდეკარის წყალი

დაბა ასპინძას ოშორიდან გამოყვანილი სასმელი წყალი ვერ აკმაყოფილებდა და ამ ხუთი წლის წინათ, ოთისწყლიდან დამატებითი ხაზი გამოიყვანეს, რომელიც ოშორის წყალსადენს მიუერთდა. გვეგონა, საქმე გაკეთდა, მაგრამ ამით ახალი, უძნელესი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით: კარგად შეუსწავლელი, ადვილად შლადი მთის ქანი ოთისწყლის საიმედო სათავედ არ გამოდგა. უმნიშვნელო წვიმების დროსაც კი, გამწმენდ ნაგებობამდე ღიად მომდინარე ისე იმღვრეოდა, სრულიად გამოუყენებელი ხდებოდა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ახალი სათავე-ნაგებობის აშენება ჭიანურდებოდა. ეს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. გადიოდა წლები და აი, ახლადარჩეულმა გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ ტიტე ნემსაძემ, შეიძლება ითქვას, მუშაობა ამ პრობლემის მოგვარებით დაიწყეს. ამავე, ოთისწყლის მარჯვენა — კლდეკარის შენაკადიდან ახალი წყალსადენი ხაზი გამოიყვანეს. შეისწავლეს მთის ქანები და ფერდობები. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანებამ პროექტი შეადგინა. საქმის დაწყებისათვის საჭირო იყო სათანადო მასალები — მილები, ცემენტი, რაც მთავარია, მუშახელი. გამგეობამ უზრუნველყო მილების შემოტანა, მისივე გადაწყვეტილებით საქმის შესრულება დაევალა ასპინძის „სოფლმშენკომპლექსს“ (ხელმძღვანელი — იური ლეკიშვილი). ორი თვის ინტენსიური მუშაობის შემდეგ კოლექტივმა შეძლო ახალი წყალსადენის გამწმენდი ნაგებობისათვის მიერთება. გაკეთებულმა საქმემ გამოცდას გაუძლო. მოსახლეობა სარგებლობს მთის წმინდა, ანკარა წყლით.

ნათელა ცისკარაძე,
„ხრ“ საკ. კორ.

ერთობლივი ძალისხმევით

ზესტაფონში, გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა სახელმწიფო, სამედიცინო და ადმინისტრაციული ორგანოების აქტივის კრება, რომელიც ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა.

კრებაზე აღინიშნა რაიონში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა. ისაუბრეს ამ სენის შედეგებზე, პროფილაქტიკასა და მასთან ბრძოლის პრობლემათა გადამწყვეტ გზებზე, აგრეთვე, ხელისშემშლელ მიზეზებზე.

კრებამ მიიღო მიმართვა რაიონის ყველა მშრომელისადმი, სადაც გამოიკვეთა ნარკომანიის წინააღმდეგ გააქტიურების ბრძოლის აუცილებლობა, დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

ამასთან, აღნიშნული ღონისძიების პარალელურად, ზესტაფონის ქალთა რაიონული საბჭოს ინიციატივით შეხვედრა მოეწყო დიდებთან, სადაც იგივე საკითხი განიხილეს.

დიდებთან შეხვედრისას განსაკუთრებით გამოიკვეთა ოჯახის როლი, ითქვა სკოლისა და საზოგადოების ერთობლივი მოქმედების საჭიროებაზე, რაიონის თვითეული მოქალაქის პასუხისმგებლობასა და როლზე ამ სენის დაძლევისათვის და სხვა.

რაიონში ნარკომანიის ერთობლივი ძალისხმევით ამოსაძირკვად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ჰენრი შარიქაძე,
„ხრ“ საკ. კორ.

ვაქირავებ
ოთახებს
ტელეფონით
მეტრო
„ავლაბართან“
ტელ: 74-14-37,
66-34-09

გთავაზობთ
უნაღდო ანგარიშსწორებით
საწერ და საბეჭდ ქაღალდს
(ფორმატი A4) ადგილზე
მიწოდებით.
ტელ: 38-91-64

ორგანიზაციებმა,
ფირმებმა,
რომელთაც სურთ შეიძინონ
ახალი საგადასახადო
კანონმდებლობის ორტომეული
უნდა მიმართონ
თბილისში: კოსტავას 47.
საზოგადოება „ცოდნა“
ქუთაისში: საფონდო ბირჟა
(ავტოვაგზალი)
ბათუმში: ფარნავაზ მეფის 120.
საფონდო სახლი „ბათუმი“
გორში,
თელავში: „ცოდნის“ განყოფილებებს

საშუამავლო კომერციული ფირმა
„რენესანსი“
დაგეხმარებათ, ინტერიერის კომფორტით
მოწყობაში. იმპორტული ავეჯის, რადიო-
ტელეაპარატურისა და სხვა საჭირო ნივთე-
ბის შეძენა-გაყიდვაში.
ფირმა ეფექტიანი და უსაფრთხო მომსახუ-
რების გარანტიას იძლევა.
ჩვენი მისამართია: სულხან-საბას ქ. № 4
ტელეფონი: 93-52-63 დღისით,
29-86-39 საღამოს საათებში.

მძიმე პრობლემა

„კაკას კანტორა“ დაიკეტა...

ზურაბ ვორდენიძეს, მუნიციპალური საწარმო „თელასის“ გენერალურ დირექტორს, ამ დღეებში შევხვდი. ჩვენი საუბარი დღეს თითქმის ნორმალიზებული წარსულის ნოსტალგიით დაიწყო. გავიხსენე სოციალიზმის „განუკურნებელი ტკივილები“ — ბარბი ელექტროენერგია, მუდმივად მქროლავი მატარებლები, სურსათ-სანოვაგით დაზნექილდახლებიანი მაღაზიები, სიიაფით გაუფასურებული ჩვენი ცხოვრება და გული მოგვეწურა.

— რაც იყო, იყო, — მეუბნება ბატონი ზურაბი, — წარსულს ვეღარ დავუბრუნდებით და, სიმართლე გითხრათ, ამის არც არავითარი სურვილი მაქვს. მოდის ახალი ცხოვრება, რომელსაც ყველამ უნდა შევაშველოთ ხელი, თორემ მარტო ლოზუნგებით ნაგები სახელმწიფო ჯერ არავის უნახავს.

კიდევ მინდა გავიმეორო — ის დრო აღარ დაბრუნდება. მაშინ დღეში საქართველო საშუალოდ 60-65 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოიხმარდა, დედაქალაქი — შესაბამისად 10,5-11 მილიონ კილოვატსაათს. საკმე 10-15 წუთით სინათლე რომ გამოირთვებოდა, განგაშის ზარები ატყდებოდა. ახლა თბილისის უბნები და დასახლებებიც კი ზოგჯერ მთელი კვირეებით ბნელში ზის და არავის უკვირს. ეს სიტყვაც მოვაყოლე, თორემ უკვირთ კი არა, ზოგი იარაღითაც გვესხმის თავს.

— ვიცი, გამიგია, — ვთქვი და უნებურად ოთახის კედლებს შევხედე, რომლებსაც რამდენიმე ნატყვიარი ემჩნეოდა.

— ეს რა არის, თქვენ სადისპეტჩერო უნდა ნახოთ, მთლიანად დაცხრილულია. ზამთრის განმავლობაში იქ არაერთხელ დაგვეცნენ მთვრალები, ნარკომანები, ხულიგნები, რომლებიც იარაღის ძალით მოითხოვდნენ სინათლის ჩართვას.

უარესიც მოხდა. მუხიანის დასახლების ქვესადგურში მოსახლეობა შეიჭრა, თვითნებურად ჩართო მაღალი ძაბვის გამანაწილებელი, რასაც ჩვენი ინჟინრის სიცოცხლე შეეწირა. სხვადასხვა დროს დაიჭრა „თელასის“ რამდენიმე მუშაკი, ორიც მიღებული სტრესისგან გარდაიცვალა. აღარაფერს ვამბობთ სიტყვით შეურაცხყოფასა და ცემაზე, რომელსაც ჩემს გარდა ვერავინ გადაურჩა.

— ამის გაკეთება ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ მოსახლეობაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა... შიმშილი, სიცივე, უსინათლობა, უწყლობა, უტრანსპორტობა — ყველაფერი ერთბაშად მოაწვა და...

— მოსახლეობას არც ვამტყუნებთ (მან ხომ გაუსაძლისი გაჭირვება გადაიტანა). ის, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ცალკეულმა ნაძირალებმა ჩაიდინეს და მათ ამისთვის პასუხი უნდა აგონ.

— ბატონო ზურაბ, იყო კი რაიმე შესაძლებლობა, რომ თბილისელებისთვის ეს ტანჯული ზამთარი, ოდნავ მაინც შეგემსუბუქებინათ?

— არ იყო, თორემ ენერგიას რატომ დავიშურებდით? წარმოიდგინეთ, ზემოთ ნახსენები იმ 60 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიიდან ადრე ნახევარს რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან ვიღებდით. ამ ზამთარს კი, როცა არავინ არაფერს გვაწვდიდა, იძულებული გავხდით დედაქალაქისთვის ენერგიის მოხმარების უმკაცრესი შეზღუდვები დაგვეწესებინა. თუ ნოემბერში თბილისს 7,2 მილიონი კილოვატსაათი ეძლეოდა, მომდევნო თვეებში ეს ციფრი 3,8-2 მილიონამდე დავიდა. ამას ზედ უმოქმედო თბომეურნეობაც დაემატა და ჩვენი დედაქალაქი დანტესეულ ჯოჯოხეთს დაემსგავსა.

— ეს ჯოჯოხეთი, ალბათ, მარტო ელექტროდეფიციტმა არ განაპირობა, ეტყობა, მასზე სხვა ფაქტორებმაც იმოქმედა.

— რა თქმა უნდა, აქ ფაქტორთა მთელი კომპლექსი მოქმედებდა. მთელი 80 წლის მანძილზე დედაქალაქის ელექტრომეურნეობა სულ სხვა პრინციპით ვითარდებოდა (სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებისა და მოსახლეობის კაბელები ერთმანეთისგან განცალკევებული არ იყო), ახლა კი ჩვენი საქმიანობა სხვა მიმართულებით წარიმართა. ენერგიის დეფიციტმა მოითხოვა ელექტროენერგიის მომხმარებლებისგან სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების — მეტროპოლიტენის, პურის ქარხნების, სამშობიაროების, დიდი საავადმყოფოებისა და წყალსაქაჩების გამოყოფა. მათ არ უნდა შეწყვეტოდათ სინათლე, მაგრამ ამის გაკეთება მოკლე პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა (იგი მოითხოვს ასობით კილომეტრ კაბელს და რამდენიმე მილიონ დოლარს). ძალიან გაძნელდა იმ 4 მილიონი კილოვატსაათი ენერგიის ისე გადანაწილება, რომ ასეთ ობიექტებს ენერგოკვება მუდმივად ჰქონოდათ. მათთან ხომ მოსახლეობაც იყო მიერთებული.

— ალბათ, აქედან წარმოსდგა გამოთქმა „პრივილეგირებული უბნები“.

— მართალი ბრძანდებით. იმ უბნებში, რომლებიც სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებზე არიან მიერთებული, სინათლე მუდმივად არის, რაც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ ზოგ-ზოგებს ამ საერთო გაჭირვების ჟამსაც კი გამორჩეულ კომფორტს ვუქმნით.

— ამის საბაბიც აქვთ, განსაკუთრებით გლდანელებსა და მუხიანელებს. მაშინაც კი, როცა მთელი ქალაქი გაჩირაღდნებულია, ეს დასახლებები ხშირად ჩაბნელებულია, ჩვენ ზანგებად გვთვლიან და ასეთ მდგომარეობაში იმიტომ გვამყოფებენო, — ხშირად გაიგონებთ იქაურებისგან.

— არ არის ეს სიმართლე. ბატონებო, იქ ძალიანაც კარგი ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ მათ შესაფერის პატივს რომ ვერ მივაგებთ, ჩვენი კი არა, გაჭირვების ბრალია. აბა, წარმოიდგინეთ, პიკის საათში, როცა დედაქალაქი 700 მეგავატ სიმძლავრეს მოითხოვს და ჩვენ კი 200-230 მეგავატზე მეტის მიცემა არ შეგვიძლია, რა ხერხს შეიძლება მივმართოთ? ერთადერთს. პირველ რიგში უნდა გამოვრთოთ ის უბნები, რომლებიც ყველაზე მეტ ენერგიას ხარჯავენ.

— ასეთები კი გლდანი და მუხიანია, არა?

— რა თქმა უნდა. გარდა იმისა, რომ ამ დასახლებებში მოსახლეობის დიდი რაოდენობაა თავმოყრილი, საქმეს ისიც ართულებს, რომ 80 ათასი ოჯახი ელექტროქურას ხმარობს (თავიდან, ვინც ეს დააპროექტა, რას ფიქრობდა?). და იცით, თითოეული ელექტროქურა რამდენს მოიხმარს? საშუალოდ 5,5-7,5 კილოვატსაათს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ასეთ ოჯახში ერთდროულად 55 ან 75 ასვატიანი ნათურა ანთია. ამას, ბუნებრივია, გაზისქურიან ოჯახში არავინ მოიმოქმედებს.

ასეთია რეალობა და ამას ჩვენთან ერთად მოსახლეობაც გაგებით უნდა შეხვდეს.

— მაგრამ ხომ შეიძლება ასეთ დასახლებებში ცალკეული უბნებისა და მიკრორაიონებისთვის რაღაც გრაფიკის დაწესება?

— შეიძლება, მაგრამ ამის განხორციელებაში თვითონ მოსახლეობამ შეგვიშალა ხელი. როგორც კი ქვესადგურებში ძაბვა გაჩნდებოდა, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის წარმომადგენლები მათ თავს ესხმოდნენ, არბევდნენ, მოითხოვდნენ სინათლის ერთდროულად ყველგან ჩართვას. ამან „საქენერგოს“ სადისპეტჩერო სამსახური აიძულა შეზღუდვები ქვესადგურების მთლიანი გამორთვით ეწარმოებინა.

— ბატონო ზურაბ, ქალაქის ელექტრომეურნეობა რომ წესრიგში არ არის, ეს ვისი ბრალია? გაიხედავ კაბელი დაიწვება, ტრანსფორმატორი აფეთქდება, ავარიებს ხომ ნუღარ იკითხავთ. რა ხდება?

— როცა გათბობის ფუნქციაც ქალაქის ელექტრომეურნეობას დაეკისრა, უფრო მეტი რომ არ ხდება, არ გიკვირთ? მადლობა ღმერთს, სათადარიგო ნაწილების ერთგვარი მარაგი კიდევ შემოგვრჩა, თორემ უარეს დღეში აღმოვჩნდებოდით. ხშირი ავარიები დიდი დატვირთვის ქვეშ მყოფი მოწყობილობების სისტემატური ჩართვა-გამორთვის ლოგიკური შედეგია. წარმოიდგინეთ, შარშანდელი დეკემბრიდან წლევანდელ აპრილამდე 163 ტრანსფორმატორი გამოვიდა მწყობრიდან (თითოეული 2,5-3 მილიონი მანეთი ღირს), ექვსი ქვესადგური დაიწვა, რომლებიც თავიდან დავამონტაჟეთ, დაზიანებული კაბელების შეცვლაც შევძელით, ოქტომბრის შემდეგ კი არავითარი დაფინანსება არ მიგვიღია. სხვათა შორის, ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ ჩვენს სომეხ კოლეგებს 67 ტრანსფორმატორი 2-3 თვის მანძილზე შეუცვლელი დარჩათ.

— ზემოთ გრაფიკი ვახსენე. თავიდან ასეთი გრაფიკი მართლა იყო შემოღებული, მაგრამ ისევე როგორც ბევრი სხვა დადგენილება და მითითება, ესეც ვერ განხორციელდა, მოსახლეობა ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა, რამაც ხალხი ძალიან გააღიზიანა.

— სრული სიმართლეა. ხალხი „თელასისგან“ მოითხოვდა ინფორმაციას. ჩვენ კი არ შეგვეძლო პასუხის გაცემა, რადგან გამორთვები „საქენერგოს“ სადისპეტჩეროდან ხდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, არანორმალური იყო.

— ასე თუ ისე, ზამთარი გავატარეთ, როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მსგავსი ზამთარი აღარ განმეორდეს?

— [illegible] ორგანიზაცი[illegible] ქალაქის ელექტრომეურნეობას ერთი პატრონი უნდა განაგებდეს. შევიმუშავეთ მომავალი ზამთრისათვის მზადების პროგრამა, რომელიც სათანადო დაფინანსებას მოითხოვს. იგი გულისხმობს მაღალი ძაბვის (35-110 კილოვატი) ელექტროქსელებისა და 0,4-6-10 ძაბვის გამანაწილებელი ელექტროქსელების ერთი ორგანიზაციის ხელში გაერთიანებას. ეს ხელს შეუწყობს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებას, ერთი სადისპეტჩეროს მეშვეობით ენერგიის განაწილებას, დედაქალაქის ელექტროქსელების განვითარების პერსპექტივის უკეთ დაგეგმვას, დეფიციტური ტარიფების შემოღებას, ბევრ სხვა საკითხს.

შევიმუშავეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების გამხოლოების პროგრამაც, რომლის განხორციელება 900 ათასი დოლარი დაჯდება. ეს სამუშაო, რა თქმა უნდა, ერთ წელიწადში ვერ შესრულდება, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს? მით უფრო, რომ ამ მხრივ რაღაც ნაბიჯებიც გადავდგით — გამხოლოვდა დიდუბის წყალკომბინატი, დამატებით იკვებება პურის მე-7 ქარხანა, მზადდება სხვა სამუშაოებიც. მაგრამ, რაც უნდა გაკეთდეს, თუ მოსახლეობის გათბობის პრობლემა არ გადაწყდა, წლევანდელი სიმწარე მომავალ ზამთარსაც არ აგვცდება. წარმოიდგინეთ, როცა თითოეულ ოჯახში ორი-სამი და მეტი ელექტროქურაა ჩართული (თანაც ენერგიის ასეთი დეფიციტის პირობებში), რის იმედად შეიძლება დავრჩეთ?

— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქალაქის გათბობის პრობლემა გადაწყდეს?

— ამისათვის არც ამერიკაში დაგვჭირდება წასვლა და არც ისრაელში. გავიხედოთ რა გააკეთეს ამ ზამთარს მეზობელმა სომხებმა და ჩვენც ისე მოვიქცეთ. იქ შეძლეს შემოეზიდათ და მოსახლეობისთვის მიეყიდათ ნავთითა და მაზუთით მომუშავე თბობი ხელსაწყოები, რომლითაც ისინი საჭმელსაც ამზადებდნენ და ბინასაც ათბობდნენ. სხვანაირად ვერც ჩვენ გავთბებით. დღეს გაზი იმდენად ძვირი გვიჯდება, რომ რადიატორები სახლებში, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება უმოქმედოდ.

ერევანში აშენდა ქარხანა, რომელიც მალე კეროგაზების გამოშვებას დაიწყებს. მისი დირექტორი კარენ დემირჩიანი გვპირდება, რომ წლეულს ზაფხულში 50 ათას კეროგაზს (თუ მოვითხოვთ, მეტსაც) ჩვენი რესპუბლიკისთვისაც დაამზადებს. ასეთი კეროგაზები მეტად ხელსაყრელია, იგი საათში წვავს 125 გრამ დიზელის საწვავს, ათბობს სამოთახიან ბინას და ამზადებს საჭმელს. ვფიქრობ, თუ მას შემოვზიდავთ, მომავალ ზამთარს დიდად შევიმსუბუქებთ, თუ არა და თბილისში, ალბათ, არც ერთი ხე აღარ დაგვრჩება.

* * *

ასეთია შეულამაზებელი სურათი, რომელიც „თელასის“ თავკაცმა დაგვიხატა. ჩანს, იოლ ზამთარს, საერთოდ იოლ ცხოვრებას აღარ უნდა მოველოდეთ. როგორც იტყვიან ხოლმე, „კაკას კანტორა“ დაიკეტა, წავიდა ის დრო, როცა კილოვატსაათ ელექტროენერგიაში 2-4 კაპიკს ვიხდიდით. ახლა სხვა ცხოვრება მოვიდა და ჩვენც („თელასიც“ და მოსახლეობაც) სხვა ყაიდაზე უნდა გადავეწყოთ. ყოველი კუპონი და კაპიკი უნდა ვიანგარიშოთ, უნდა გავეცნობიეროთ, რომ ყველი დაუფიქრებელი მოქმედება (ქვესადგურებზე შეჭრა, ძალით თვითნებური გადართვები, ოჯახში უამრავი ელექტროქურის ჩართვა და სხვა) შედეგს ბუმერანგივით დაგვიბრუნებს. „თელასმაც“ უნდა შეძლოს მეტი სიმტკიცითა და პროფესიონალიზმით ებრძოდეს ენერგიის დეფიციტის პირობებშიც კი ელექტრომეურნეობის გამართული მუშაობისათვის ასეთი მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც ზემოაღნიშნულ დარღვევებს გამორიცხავს. მხოლოდ ასე, ურთიერთგაგებითა და თანამშრომლობით თუ ვეწევით უკეთეს ცხოვრებას.

ოთარ ხუციშვილი.

მკითხველი გვწერს

ვინც ბუნებას მტრობს, ჩვენი მტერია

რეგიონში ტყეების უკანონო ჭრის, წიაღისეულის რაიონის ფარგლებს გარეთ გატანის, ნადირობისა და თევზჭერის წესების უხეში დარღვევის შემთხვევების ზრდასთან დაკავშირებით ქალაქ ტყიბულის გამგებელმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ქალაქის ეროვნული გვარდიის ბატალიონს დაევალა დედა-ბუნების დაცვის მიზნით ზონაში მოაწყოს ბუნების პატრულირება.

აღნიშნული ბატალიონის წარმომადგენლებთან ერთად ტყიბულის პროკურატურასთან არსებული ეკოლოგიისა და ბუნებით სარგებლობის ინსპექცია ხშირად აწყობს ერთობლივ სადღეღამისო რეიდებს. გარდა ამისა, ქალაქის პროკურორმა მიმართა ყველა მოქალაქეს, რომლებიც ხელყოფენ ბუნებას, მოუხმონ გონს და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბუნებისადმი უკანონო ქმედებანი. ამასთან ერთად, სათბობის მომპოვებელი ქალაქის ასობით მკვიდრი პერსონალურად იქნა გაფრთხილებული, რომ თუ ისინი წინამდებარე ბრძანების დარღვევით შემდეგაც არ შეწყვეტენ ბუნებისადმი მტრულ დამოკიდებულებას, მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება მკაცრი ზომები, — გვითხრა ტყიბულის ეკოლოგიისა და ბუნებით სარგებლობის ინსპექციის უფროსმა ზურაბ ბერიძემ.

ირაკლი ხვედელიძე
ომისა და შრომის ვეტერანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო ფოსტიდან

სიცრუე სამზეოზე

გაზეთ „შანსში“ (1994 წ. 7-14 აპრილი) დაიბეჭდა ჟურნალისტ კლარა აბრამიას ცილისმწამებლური პასკვილი — „ვის წისქვილზე ასხამს წყალს საქართველოს ელჩი?“ მისი აზრით, „ქართველებს ოდითგან ერთი უკურნებელი სენი გვჭირს... ჩვენს სისხლსა და ხორცს, თუკი ჭკვიანია, ნიჭიერია, ძლიერია, მართალია და მაღლაც მიფრინავს, აუცილებლად ან დიდ ქვას ვესვრით, ან ავტომატის ტყვიით ჩამოვაგდებთ, დავასახიჩრებთ, სიცოცხლეს მოვუსპობთ ან ცილს დავწამებთ, გავაბინძურებთ, მოვკვეთავთ...“ კლარა აბრამია, როგორც მისი პასკვილიდანვე ჩანს, არ ფიქრობს, რომ მეც ასეთი სამიზნე ვარ და „მაღლა მივფრინავ“, მაგრამ თვითონ რომ ასეთი „ქართული“ სენით ბრძანდება დაავადებული, აშკარაა.

კლარა აბრამია ბრალს მდებს, რომ საელჩოს პოლიტიკური განყოფილების უფროსად დამინიშნავს ვახტანგ ჯანაშია. ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ იქნებოდა ეს დანაშაული და, რაც მთავარია, ვახტანგ ჯანაშია არავის, არასოდეს არ დაუნიშნავს საქართველოს საელჩოში რაიმე თანამდებობაზე. იგი ალბათ გაზეთ „შანსით“ შეიტყობს, რომ, თურმე, საელჩოს მუშაკი ყოფილა!

კლარა აბრამიას თუ დავუჯერებთ, „პირველი დღეებიდანვე“ დავტრიალებულვარ და მოსკოვში გადმომიყვანია „მეუღლე, სიდედრი, დაცოლშვილებული ვაჟიშვილი, გათხოვილი ქალიშვილი ქმარშვილით, დისშვილი და მისი მეუღლე, ბიძაშვილები, ცოლის ახლო ნათესავები და საელჩო დასასვენებელი სახლისთვის“ დამიმსგავსებია. არავინ მე თბილისიდან მოსკოვში არ გადმომიყვანია.

საელჩოში ოჯახით და უოჯახოთაც ცხოვრება შეუძლებელია. იქ არც ცხოვრობენ. ჩემი შვილები თავიანთი ოჯახებით ზაფხულში იყვნენ მოსკოვის ახლოს აგარაკზე (სიდედრი — საავადმყოფოში), ხოლო შემოდგომაზე ყველანი დაბრუნდნენ თბილისში და ამჟამადაც იქ არიან. თუ ქ-ნი აბრამია თვლის, რომ მეუღლეც თბილისში უნდა დამეტოვებინა, რატომ არ გამაფრთხილა თავიდანვე? ნუთუ ელჩის თანამდებობაზე მუშაობა ოჯახის დანგრევას მოითხოვს მსხვერპლად?

კლარა აბრამია წერს: „გავიდა სულ რაღაც ორი თვე და ვალერიან ადვაძემ მოსკოვში გახსნა ორი კომერციული ფირმა და ერთი ბანკი... ამ ფირმებს უცხოეთში ფილიალები გაუხსნა“. ნუთუ? ბანკმა რაღა დააშავა, რომ ფილიალი არ გავუხსენი? თუ ქ-მა აბრამიამ მართლა რაიმე იცის მათი არსებობის შესახებ, მომაწოდოს ინფორმაცია და რომელიმე ფირმის უცხოური ფილიალის პრეზიდენტად დავნიშნავ. იგი საზღვარგარეთ გაემგზავრება. მეც და საქართველოც დავისვენებთ მისგან.

შემდეგ, თურმე მეუღლე დამინიშნავს „კულტურის განყოფილებაში მეორე მდივნად“. საელჩოში არ არსებობს არც ერთი განყოფილება. არის კულტურისა და სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობის რეფერენტურა. იქ დაინიშნა ჩემი მეუღლე მეორე მდივნად (მეც. კანდიდატი) და ეკითხებოდა მეცნიერებისა და განათლების საქმე. დანიშვნა მოხდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. მაგრამ მან მოსკოვში ჩემი გადმოყვანით დაკარგა პრორექტორობა ინსტიტუტში და კათედრის დოცენტობა უნივერსიტეტში.

ყოველივე ამის მიუხედავად, აბრამიას მსგავსი ინტრიგანებისათვის ლაპარაკის საფუძველი რომ წამერთმია, იგი მალე გავათავისუფლე სამუშაოდან.

კიდევ ერთი „აღმოჩენა“ მომაწოდა კლარა აბრამიამ. თურმე, „საელჩოს ტექნიკური სამსახურის მთავარ მექანიკოსად ბიძაშვილი დამინიშნავს. ტექნიკური სამსახური? მთავარი მექანიკოსი? ბიძაშვილი?

საელჩოში არ არსებობს არც ასეთი სამსახური, არც თანამდებობა და არც ვინმე ჩემი ბიძაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე.

ასევე დამინიშნავს „დისშვილის ქმარი ვაჭრობის განყოფილების უფროს მრჩევლად“. ჩემი დისწულების ქმრები (4) მუშაობენ მესხეთში და საერთოდ არ უნახავთ მოსკოვი. თუ საელჩოს სავაჭრო განყოფილება ახალციხესა და ასპინძაშია განლაგებული და მე არ ვიცი, ცუდი ელჩი ვყოფილვარ. მოსკოვში კი ასეთი განყოფილება არ გვაქვს.

კიდევ უფრო დიდი სასწაული! არარსებული „ვაჭრობის განყოფილების უფროსი მრჩევლის მოადგილედ დამინიშნავს მეუღლის დისშვილი. დღემდე ვიცოდი, რომ ჩემს მეუღლეს არც და ჰყავს და არც ძმა, ცხადია, არც მათი შვილები. კლარა აბრამიას, ალბათ, მადლობა უნდა ვუთხრა მათი აღმოჩენისათვის, ხოლო ჩემს მეუღლეს — საყვედური: რატომ მიმალავდა 34 წლის მანძილზე მათ არსებობას? დაცვაში „მიწვეული“ ნათესავიც საძებნი მყავს. დღემდე არ ვიცი მისი არსებობა. იქნებ კლარა აბრამიამ მიმითითოს მაინც ვინ არის?

როცა ნათესავების საქმე მომიგვარებია, „საქართველოს ქონების დანიავებას“ შევუდგომივარ. მოწყალების ხარჯზე მცხოვრები საელჩოს ქონების დანიავება თვით ელჩის მიერ? თუნდაც ერთი ფაქტი! ერთი ფაქტი! სპეცსახლი (სასტუმრო) თითქმის ორი წელიწადი სარემონტოდ იყო გაჩერებული, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო რემონტი არ მიმდინარეობდა. ოფისები კი მაინც იყო იქ.

სასტუმროს ახალმა დირექტორმა სახსრები გამოძებნა, რემონტთან დაკავშირებით ოფისები იქიდან გაიყვანა, 4 სართულიდან სამი (V, IV, II) უკვე გარემონტდა და სტუმრებს ღებულობს, ერთი (III) სართულის რემონტიც დასასრულს უახლოვდება.

25 ათასი დოლარისა (რაც თითქოს ჩავიჯიბე) და 13 მილიონი რუსული მანეთის შესახებ (რაც თითქოს საქართველოს სასარგებლოდ შევიტანე), არაფერია ჩემთვის ცნობილი და თუ ქ-ნი აბრამია „სარწმუნო წყაროებიდან“ უფრო დეტალურ, დოკუმენტურ ინფორმაციას მომაწვდის, იმ 25 ათას დოლარს მოვძებნი. თუ ვერ აღმოვაჩენ, მაშინ თვით „სარწმუნო წყაროებს“ წავართმევ, როგორც ჯარიმას არასარწმუნო ინფორმაციისათვის და ქ-ნ აბრამიას ვაჩუქებ.

შემდეგ კლარა აბრამიას პასკვილში ლაპარაკია საელჩოში მიღებულ შეწირულებაზე და ბრალი მედება მათს მითვისებაში. საელჩო ჩემი მოსვლისას თითქმის მთლიანად უსახსრებოდ იყო დარჩენილი. ქართველმა ბიზნესმენმა ბატონმა გივი პოპიაშვილმა მართლაც ჩარიცხა საელჩოს ანგარიშზე 50 მილიონი მანეთი მის შესანახად და კიდევ 5 მილიონი მანეთი სასტუმროების დაჯავშნისათვის. მადლობა მას! გარდა ამისა, მან ნაღდად 12 ათასი დოლარი აჩუქა ბატონ ავთანდილ მარგიანს და 8 ათასი დოლარი მე, როგორც საქართველოს ელჩს, საელჩოს აუცილებელი საჭიროებისათვის ჩემი შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად (და არა თანამშრომლებისთვის დასარიგებლად), ამაზეც მადლობა მას!

ბ-ნ გივი პოპიაშვილის მიერ აღნიშნული თანხის გადმოცემას ავთანდილ მარგიანის გარდა ესწრებოდნენ საელჩოს სხვა თანამშრომლებიც. ასე რომ, მისი დამალვა შეუძლებელია, ხოლო მითვისება მხოლოდ სულელს ან ავანტიურისტს თუ მოუვა აზრად. მე რომ ვთქვა, ამ კატეგორიის ადამიანებს ვეკუთვნი-მეთქი, თვით ქ-ნი აბრამია არ დაიჯერებს.

აღნიშნული თანხა (8 ათასი დოლარი) დღემდე დალუქული კონვერტით საელჩოს სეიფში ინახება და ვფიქრობ, მას წლეულს, 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აღსანიშნავი მიღების ხარჯებისათვის გამოვიყენებ.

კლარა აბრამია სხვა „საჩუქრებსაც“ იმეტებს ჩემთვის. თურმე, ერთი ბიზნესმენისთვის (ნეტავ, რომელია?) სპეცსახლში ოფისი მიმიცია, მას კი ჩემთვის „ჯიპი“ უჩუქებია. „ტექნიკური სამმართველოს უფროსი“ გამომიძახია, „ჯიპი“ გამიფორმეო და დამითხოვია სამსახურიდან ურჩობის გამო. არავის ჩემთვის „ჯიპი“ არ უჩუქებია და მის გაფორმებასა თუ გადაფორმებაზე მსჯელობა უაზრობაა. მით უმეტეს, რომ საელჩოში არავითარი ტექნიკური სამმართველო არ არის. ასე რომ, არც მისი უფროსია და ვერც არარსებული თანამდებობის პირს დავითხოვდი სამსახურიდან. მთელი ეს მსჯელობა (ისევე როგორც ყველა სხვა მსჯელობა) ქ-ნი აბრამიას ავადმყოფური ფანტაზიის შხამიანი ნაყოფია.

შემდეგ კულტურის ცენტრი „მზიური“ დამირბევია და მისი დირექტორი ბექარ რაზმაძე გამითავისუფლებია, ხოლო მის ადგილზე დისწულის ქმარი დამინიშნავს. აქ უკვე ბექარ რაზმაძე გადაიხარხარებს, რადგან არ ყოფილა ასეთი რამ: არც იგი გამითავისუფლებია და არც ვინმე დამინიშნავს მის ადგილას (დისწულების ქმრებზე უკვე ვთქვი ზემოთ, მესხეთში არიან და არა მოსკოვში). ქ-ნ აბრამიას მთელი მომდევნო მსჯელობაც „ელჩის წნევის აწევაზე“ (მე საერთოდ დაბალწნევიანი ვარ), „სასწრაფოს გამოძახებაზე“ (ჩემს სიცოცხლეში არ დამჭირვებია სასწრაფოს გამოძახება. მადლობა ღმერთს!) და სხვა, მტკნარი სიცრუე და სისულელეა. ეს მხოლოდ ქ-ნი აბრამიას ოცნებებია. ვიმედოვნებ, აუხდენელი.

კლარა აბრამია არც ჩვენს მტკივნეულ საკითხს — აფხაზეთიდან ლტოლვილთა შესახებ მსჯელობას მორიდებია და ჩემი „უსულგულობის“, „ერის სატკივარის“ არად ჩაგდების „საბუთად“ გამოუყენებია. საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს უსინდისობას? ერთი წლის მანძილზე, რაც მე ელჩი ვარ, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ საელჩოში ჩემთან მოსული ლტოლვილი არ შემოეშვათ და მე არ მიმეღოს და შეძლებისდაგვარად არ დავხმარებოდი (ზოგს საავადმყოფოში მოთავსების, ზოგს უმაღლესში შვილის გადმოყვანის შუამდგომლობებს ვუწევდი და სხვ.). ლტოლვილების მიღება მქონდა და მაქვს ინდივიდუალურადაც, ჯგუფურადაც. მათთან მრავალი შეხვედრა გაიმართა და ახლაც იმართება ჩვენს საელჩოშიც და „მზიურშიც“ (ბოლოს ორჯერ ბატონ სანდრო კავსაძესთან ერთად), შეხვედრების უშუალო მონაწილეა ჩვენს საელჩოში მყოფი სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებებით აღჭურვილი პირი (აფხაზეთის საკითხებში) ბ-ნი რამაზ სიჭინავა.

არა, მართლა არა აქვს საზღვარი უსინდისობას! კლარა აბრამია იმასაც მაბრალებს, რომ „მდიდარი“ ლტოლვილებისგან საჩუქრებსაც ვიღებ, რაკი მათ, თურმე, ტომრით ვალუტა ჩამოუტანიათ მოსკოვში.

მე არ ვიცი ეს ცილისწამება რანაირად უარვყო ან როგორ დავადასტურო? „ამბობენ...“ ქ-ნ აბრამიაზე ბევრ ისეთ რამეს ამბობენ, რომ ყველა წესიერ, პატიოსან კაცსა და განსაკუთრებით ქალს თმა ყალყზე დაუდგება, მაგრამ ხომ არ შეიძლება უსაბუთოდ გაზეთში მასზე წერა?

ახლა კი მთავარზე უნდა გადავიდეთ. რა მოხდა რეალურად, რატომ არის ასე გაწიწმატებული კლარა აბრამია?

მისივე პასკვილის ტექსტს თუ გულისყურით წაიკითხავთ, მიხვდებით, რაც მოხდა. იგი წერს:

„რამდენჯერმე ვესაუბრე ელჩს პრესსამსახურზე, სადაც თითქმის არაფერი კეთდებოდა. შევთავაზე გეგმა, რომელიც იძლეოდა ჩვენი ინფორმაციების ოპერატიული გავრცელების საშუალებას რუსეთში, გეგმა კი მოეწონა, მაგრამ ხუთი თვე ედო მაუდქვეშ და ხელის განძრევის საშუალება არ მომცა. მე მაშინ გადავწყვიტე წავსულიყავი იქიდან. ჩემი გადაწყვეტილების განხორციელება იმანაც დააჩქარა, რომ ვალერიან ადვაძემ თბილისიდან თავის ნათესავი ვინმე დავით დემეტრაშვილი პრესსამსახურის უფროსად გადმოიყვანა“. ხომ მიხვდით რაშია საქმე?

ქ-ნი აბრამია საელჩოში ბ-მა ვ. ჩხეიძემ მიიღო 1993 წლის 15 მარტს, მაშინ, როცა იგი უკვე დანიშნული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ელჩად. ეს მოხდა ერთი კვირით ადრე ელჩად ჩემს დანიშვნამდე.

ვინც ქ-ნ აბრამიას იცნობს, მაშინვე იტყვის: პ. ჩხეიძეს ვ. ადვაძისათვის შეყოვნებული მოქმედების ნაღმი დაუტოვებიაო. ასეც აღმოჩნდა. მაგრამ ბატონი ჩხეიძეც დაისაჯა. ქ-ნი აბრამია თავის პასკვილში უამრავ დითირამბებს უძღვნის მას. მაგრამ კლარასაგან ვინმეს ქება ნორმალურ საზოგადოებაში ხომ ლანძღვად აღიქმება!

მე რაღა დავაშავე?

პირადად ჩემთან ქ-ნ აბრამიას შარშან, 25 აგვისტომდე, არავითარი კონფლიქტი არ ჰქონია, მაგრამ როგორც მიხვდით მისივე ზემოთ მოყვანილი საუბრიდან, საელჩოს პრესცენტრის ხელმძღვანელობა უნდოდა და იერიში მიიტანა მის ხელმძღვანელზე ქ-ნ მარინა რონდელზე.

ქ-ნი მ. რონდელი თავისი განათლებით, ადამიანური კულტურით, თავმდაბლობით, საქმის ერთგულებით სანიმუშო მოქალაქეა. ქ-ნი აბრამია მარინა რონდელის „დამუშავებით“ რომ ვერაფერს გახდა, მის შესახებ სალანძღავი წერილი აფრინა (ფაქსით) მინისტრთან.

მე და მინისტრი მოვერიდეთ კონფრონტაციისა და დაძაბულობის გაძლიერებას საელჩოში, აღარც ქალბატონმა რონდელმა ისურვა პრესცენტრის ხელმძღვანელად აბრამიასთან ერთად მუშაობა და პოლიტიკურ რეფერენტურაში პირველ მდივნად გადავიყვანეთ.

ეს ერთი, ასე ვთქვათ, „ჩაახრამუნა“ და შერჩა ქ-ნ აბრამიას.

პრესცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამოსაყენებლად ყურადღება შევაჩერე ცნობილ ჟურნალისტზე — ვ. ჯანაშიაზე, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ქ-მა აბრამიამ ეს „იყნოსა“ (ბ-ნი ჯანაშია მოდიოდა საელჩოში), ატეხა განგაში და დაიწყო მისი „დამუშავება“. მივხვდი, რომ ვ. ჯანაშიას მოყვანით საელჩოში მშვიდობა არ იქნებოდა და გადავიფიქრე მისი სამსახურში მიღება. ეს მეორეც „ჩაახრამუნა“ და შერჩა ქ-ნ აბრამიას.

დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო პრესცენტრის დატოვება უხელმძღვანელოდ და ამ თანამდებობაზე მოვიწვიე საქინფორმის თანამშრომელი ბ-ნი დავით დემეტრაშვილი (იგი ჩემი არავითარი ნათესავი არ არის და 1993 წლამდე პირადად არც ვიცნობდი) — ინტელიგენტი (განათლება ევროპაში აქვს მიღებული) მრავალი გაზეთის რედაქციის წევრი (თავად მთავარი რედაქტორი), უზენაესი საბჭოს სარედაქციო საგამომცემლო ჯგუფის რედაქტორი, ენების მცოდნე, დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობის მქონე, ჟურნალისტი და მწერალი, წიგნების ავტორი.

და გაგრძელდა ქ-ნ აბრამიას ბრძოლა პრესცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობისათვის, ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ვერ მოვაშლევინე ეს.

1993 წლის 25 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბ-ნი მ. უკლება ატარებდა თათბირს საელჩოს თანამშრომლებთან. ქ-მა აბრამიამ კვლავ წამოიწყო თავისი „მელოდიები“. მე გადაჭრით მოვთხოვე ელაპარაკა საქმეზე და არა პიროვნებებზე, მან ეს შეურაცხყოფად მიიღო და დამიწერა განცხადება განთავისუფლების თაობაზე.

მე, რასაკვირველია, დავაკმაყოფილე მისი ეს წერილობითი თხოვნა და დავწერე ბრძანება მისი განთავისუფლების შესახებ. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. ვიფიქრეთ, ბოლო მოეღო ჩვენს ტანჯვასო. ნურას უკაცრავად! ცხადია, მას არ ეგონა, რომ ასე იოლად „შევეშვებოდით“ და წამოვიდა დეპეშები, მათ შორის ერთი ასეთი:

Москва 69, ул. Палиашвили, 6 посольство Грузии
господину Адвадзе
Принимая во внимание советы и рекомендации руководства республики Грузия прошу анулировать мое заявление — протест от 25 августа сего года — Клара Абрамия.

რაკი კლარა აბრამიამ სახელმწიფოს პირველი ხელისუფლების ვითომდა რჩევებითა და რეკომენდაციებით ვერ შემაშინა, ახლა „მეოთხე ხელისუფლებას“ — პრესას მიაკითხა, პასკვილის პუბლიკაცია „შანსს“.

ვინც კლარა აბრამიას იცნობს, მიმიხვდება, რომ რაკი მისი განცხადება სამსახურიდან განთავისუფლებაზე ხელთ მქონდა და ბრძანება დაწერილი იყო, სისულელე იყო უკან დახევა და სამსახურში მისი აღდგენა. ძლივს ამოვისუნთქეთ. ყველამ ვიცოდით, რომ იგი არ გაჩერდებოდა და სიბინძურეს გადმოანთხევდა, მაგრამ საშინელი დასასრული ვარჩიეთ (ცილისწამებით გაბინძურება) დაუსრულებელ საშინელებას. ასეც მოხდა.

დიდი ხანია მას მომზადებული ჰქონდა თავისი პასკვილი საელჩოსა და ჩემს წინააღმდეგ. ვერ მოძებნა მისი გამომქვეყნებელი ორგანო და ისევე დარჩებოდა მას დაუბეჭდავი, თუ არა ბულვარული „შანსი“.

ვინც ქ-ნ აბრამიას, როგორც პიროვნებას, არ იცნობს, შეიძლება მითხრას: ბოლოს და ბოლოს დაგენიშნა პრესცენტრის ხელმძღვანელად, რა დიდი თანამდებობა ეგ არის, რომ მისთვის ვერ გაიმეტე. ცდებით. ჯერ ერთი, იგი ბუნებით არის კონფლიქტური პიროვნება და მას არ შეუძლია სიცოცხლე უინტრიგებოდ, არ შეუძლია, რომ ვინმეს არ ეჩხუბოს, არ ეკინკლაოს, ცილი არ დასწამოს, არ ლანძღოს. როცა ამას აკეთებს, მაშინ იგი თავის „სტიქიაშია“ და ამაში ხედავს საკუთარი არსებობის არსს. ამიტომ ინტრიგები, ჩხუბი, ლანძღვა, ერთი სიტყვით, დაუსრულებელი საშინელება საელჩოში არ დასრულდებოდა პრესცენტრის ხელმძღვანელად მისი დანიშვნით, პირიქით, უფრო გამწვავდებოდა, მაგრამ მე ვერ დავნიშნავდი მას პრესცენტრის ხელმძღვანელად სხვა მიზეზებითაც.

ჯერ ერთი, თავისი სულელური შეკითხვების გამო სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწის პრესკონფერენციებზე, სადაც იგი დადიოდა და რისი მწარე გამოცდილებაც საკმაოზე მეტი გვქონდა. და მეორეც, იმიტომ, რომ იგი საშინლად გაუნათლებელი, უწიგნური და უვიცია (სხვათა შორის, მისი აგრესიულობა აქედანაც წარმოსდგება, რადგან უვიცობა აგრესიულია). მან რომ არ იცის უცხო (მათ შორის რუსული) ენები, ეს კიდევ არაფერია. საქმე ის არის, რომ მან არ იცის ქართული ენაც და მისი მართლწერის ელემენტარული ნორმები და წესები.

მე ხელთ მაქვს მისი წერილები ჩემს მიმართ (რაკი მე მას აღარ ვღებულობდი დ. დემეტრაშვილის სალანძღავად, წერილობით „მაწვდიდა“ მის ლანძღვას), შემიძლია გამოვაქვეყნო მათი ქსეროასლები და ყველასათვის ნათელი გახდება ქართული ენისა და მართლწერის ქ-ნ აბრამიას „ცოდნის“ დონე, ასევე ბევრი სხვა რამ.

ერთი სიტყვით, ქალბატონ აბრამიას ყოფნა საელჩოში არ შეიძლებოდა. ვიღაცას უნდა ეკისრა საელჩოს გაწამებული კოლექტივის დაცვა, ქ-ნ აბრამიას მოშორების ამოცანის გადაწყვეტა. სხვანი განერიდნენ, მირჩევდნენ, დაანებე თავი, გაგსვრისო, იცოდნენ მისი ბინძური ბუნება.

მე მივიღე ეს დარტყმა. ბინის ავტომატით დაცხრილვის, შტაბბინის დარბევის, ერის მოღალატედ გამოცხადების შემდეგ აბრამიასგან ლანძღვას, ცილისწამებასაც გავუძლებ. ჩვენმა საზოგადოებრიობამ ძალიან კარგად იცის, ვინ ბრძანდება ქ-ნი აბრამია და ჩემს გულშემატკივრებს ვთხოვ, ნუ ნერვიულობენ. მით უმეტეს, რომ არის უფრო ბასრი იარაღი, ვიდრე ცილისწამებაა და ეს იარაღია ჭეშმარიტება, რომელიც, ვფიქრობ, ამ წერილით დაინახა მკითხველმა. რაც შეეხება ვაჟბატონებს გაზეთ „შანსიდან“, მათთან, ისევე როგორც კლარა აბრამიასთან, მართლმსაჯულების წინაშე მექნება საუბარი.

ვალერიან ადვაძე,
საქართველოს რესპუბლიკის ელჩი რუსეთის ფედერაციაში.

თეიმურაზ მოსაშვილი



გარდაიცვალა თეიმურაზ ილიას ძე მოსაშვილი — გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. მისი სახით საქართველომ დაკარგა ჭეშმარიტი მამულიშვილი, გულანთებული ინტელიგენტი.

თ. მოსაშვილი დაიბადა 1915 წელს ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილო მოსაშვილის ოჯახში. სამშობლოს სიყვარული და ერისკაცობა ბავშვობიდანვე შთაუნერგეს მას ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან ოჯახურმა შეხვედრებმა.

თ. მოსაშვილი 1941-1945 წლებში არმიის რიგებში მსახურობდა, 1945-1970 წლებში მუშაობდა პასუხსაგებ სამეურნეო და პარტიულ თანამდებობებზე, ხოლო 1970 წლიდან 16 წლის მანძილზე საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეა.

სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ბრძოლისა თუ შრომის ფრონტზე, ყოველთვის ერის სამსახურში იდგა, უდიდესი შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის გრძნობით, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობით, მუდამ ახლის ძიებით გამოირჩეოდა. ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებს, სოციალური, ყოფითი პრობლემების მოგვარებას.

დიდია მისი დამსახურება რესპუბლიკაში პროფესიული კავშირების, საკურორტო საქმის, სპორტის, კულტურის განვითარებაში საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნაში.

სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, სპორტისა და კულტურის სასახლეები, საცხოვრებელი ბინები ამჟამადაც რომ ამშვენებენ საქართველოს, მისი პირადი ინიციატივით, მონდომებით და უშუალო ხელმძღვანელობით იქნა აგებული.

მისი ხანგრძლივი და თავდადებული შრომა აღინიშნა მრავალი სამთავრობო ჯილდოთი, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის ხალხის სიყვარული და პატივისცემა იყო, რომელიც მან დაიმსახურა.

დაუდგრომელი ბუნების პიროვნება იყო. სიცოცხლის ბოლო დღემდე შეინარჩუნა ეს თვისება.

სულ ახლახან მისი ინიციატივით გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის საზოგადოება ჩამოყალიბდა, ბევრი კეთილი საქმის განხორციელება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

საქართველოს საზოგადოებრიობა მადლობას უხდის მას უდიდესი სიყვარულისა და ღვაწლისათვის.

ედუარდ შევარდნაძე, ოთარ ფაცაცია, ვახტანგ გოგუაძე, ირაკლი ტუღუში, ირაკლი მენაღარიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ლეკიშვილი, ირაკლი ანდრიაძე, სიკო ბეგიაძე, მამუკა კაციტაძე, შოთა ოქროპირიძე, გიორგი ცოგეხია, გიორგი ლოთუაშვილი, ბერდია გუგავა, იოსებ ხარატიშვილი.

განსჯა

უმადურობა კლავს სიკეთეს!

ფრიად სამწუხაროდ, ადრე ნათქვამს, „ჩვენი ხელფასი ჩვენი სირცხვილიაო!“, დღესაც არ გასვლია ყავლი. თუმცა, რა ხელფასზეა ლაპარაკი, როცა აკადემიკოსი თავისი ერთი თვის გასამრჯელოთი, ორ კილოგრამ სტაფილოსაც ვერ ყიდულობს. და ამის მიუხედავად, საზოგადოება მაინც შრომობს...

აქ ორი მიზეზია, შეიძლება მეტიც, მაგრამ პირველი მაინც, ინსტინქტია, ადამიანში ჩადებული შრომისა და შემოქმედების უკვდავი გენი, რომელიც ამოძრავებს კაცობრიობას და მეორე: ხვალის იმედი, შვილების, ოჯახის, მამულისთვის ფიქრი...

მოკლედ, ხალხი მაინც დადის სამსახურში და ცდილობს... და ამ დროს, ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი ხელმძღვანელი ჰყავს მას, სცალია თუ არა მისთვის ვინმეს, იგზნება თუ არა უფროსი მადლობას, რასაკვირველია, თუკი მუშაკი იმსახურებს ამას, სიტყვით მაინც იზიარებს თუ არა ხელმძღვანელობა, მის გაჭირვებას...

რადგან დღეს, ამ გაშიშვლებული ნერვების საუკუნეში შეიძლება წამალიც იყოს ყოველივე ეს ჩვენი გადარჩენისათვის...

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ამბობენ, ისეთი ხელმძღვანელებიც არიან, ოღონდ თავის თანამშრომელს მადლობა არ უთხრან და თვითონ სიამოვნებით ამოითხრიან ცალ თვალს... ისე, თუ პრინციპზე წავა საქმე, „მეორე თვალსაც მიაყოლებენ...“

მოკლედ, ქალბატონებო და ბატონებო! რაც ყველაზე იაფია, რასაც შრომა, ხარჯი და უცხოეთიდან ჩამოტანა არ უნდა, რაც საწყობში არ გაკლდება, იმის გაცემა ზოგიერთ უფროსს, ხელმძღვანელს ყველაზე მეტად უჭირს...

ამ დღეებში ერთი ქარხნიდან წერილი მივიღე: საშინელ პირობებში ვართ, სამსახურში, რა თქმა უნდა, ფეხით დავდივართ, გვიჭირს ყველაფერი, მაგრამ მაინც ვმუშაობთ. ამ დროს კი ჩვენი დირექტორისგან წამლად არ გვახსოვს ერთი თბილი სიტყვა, წახალისება, მადლობა. სულ უკმაყოფილოა, ბუზღუნებს, მხოლოდ საყვედური ამოსდის პირიდან. რატომღაც ის მამაცხონებული ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჩვენ უსაშველოდ ბედნიერები ვართ, ის კაცი ჩვენი უფროსი რომ არისო...

სამწუხაროდ, ეს ერთი რომელიმე კონკრეტული ქარხნის მუშათა სატკივარი არ გახლავთ... ამას წინათ, შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელის, ჩვენგან გულნაკლულად წასული კაცის, ბატონი გივი ჩოხელის შესახებ აღვნიშნე ყოველივე და დღესაც ვაფიქსირებ — უმადურობა კლავს სიკეთეს!

მკითხველს მეტს აღარ შევაწუხებ, ოღონდ მისი ნებართვით მხოლოდ ერთს დავკითხავ: წაადგება ჩვენს უკიდურესად გაჭირვებულ ყოფას, დაძაბულ ნერვებს ასეთი დამოკიდებულება? არა მგონია!

მერაბ ბერაძე.

— თუ თქვენ უფრთხილდებით თქვენს ჯანმრთელობას;
— თუ თქვენ არც ისე მდიდარი ხართ, რომ შეიძინოთ იაფფასიანი და მდარე ხარისხის საქონელი;
— თუ მისდევთ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ძუნწი ყოველთვის ორმაგად იხარჯება;
— მაშინ თქვენ ნამდვილად ჩვენი მომხმარებელი ბრძანდებით და

სავაჭრო სახლი „გულანი“

საბითუმო და მცირე საბითუმო პარტიებად გთავაზობთ:

— უმაღლესი ხარისხის (ევროსტანდარტის და ფიტოსანიტარული სერთიფიკატის მქონე) რაფინირებულ ნამდვილ მზესუმზირის ზეთს „ოლინ“-ს 1 ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში. ფასი ერთი ბოთლის 1,2 $-ის ექვივალენტი.
— ფირმა „ფილიპსის“ 60 ვატიან, 75 ვატიან და 100 ვატიან ნათურებს;
(„ფილიპსის“ ნათურები ერევნის წარმოების ნათურებს რამდენად სჯობია, თვითონ დარწმუნდებით); ფასი ერთი ნათურის 0,4 $-ის ექვივალენტი.
— ფირმა „დიფაუს“ კბილის ჯაგრისებს; ფასი ერთი ჯაგრისის 0,4 $-ის ექვივალენტი;
— პირველად საქართველოში — ფირმა „ნოვა“-ს ევროსტანდარტის ნამდვილ ტუალეტის ქაღალდს; ფასი ერთი რულონის 0,28 $-ის ექვივალენტი;
— მანქანის გატაცების საწინააღმდეგო მექანიკურ ეფექტურ ჩამკეტ მოწყობილობას. ფასი ერთი საკეტის 18 $-ის ექვივალენტი;

ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი, დიდ საბითუმო პარტიებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებაა.
ცნობებისათვის დარეკეთ 22-13-26, 98-92-66
ჩვენი მისამართია: მელიქიშვილის ქ. № 12 ბიზნეს-ცენტრი „საქართველო“
(სასტუმრო „საქართველოს“ შენობა) III სართული.

გახსოვდეთ, სავაჭრო სახლი „გულანი“ მხოლოდ ხარისხიანი საქონლით ვაჭრობს!
ველით ნამდვილ მყიდველებს!

ამ გაჭირვების ჟამსაც!..

ალბათური სკოლის მაღალი ავტორიტეტი...

„საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთ პუბლიკაციაში მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნიკო ვახანიამ მოიხსენია თავისი ორი მოწაფე, რომლებიც დანიაში მიემგზავრებოდნენ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად — ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლები, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები ვაჟა ტარიელაძე და სერგო ჩობანიანი. საკვირველიც კია, რომ ამ უკიდურესი გაჭირვების ჟამს ჩვენი მათემატიკოსები არამც თუ წარმატებით განაგრძობენ კვლევით მუშაობას, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე მაღლა სწევენ ქვეყნის მეცნიერულ ღირსებას.

ჩვენი კორესპონდენტი თამაზ იბანოიძე შეხვდა დანიიდან დაბრუნებულ ბატონ სერგო ჩობანიანს, რომელმაც, მშობლიური სომხურის გარდა, კარგად იცის ქართული, რუსული და ინგლისური ენები და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— თუ შეიძლება, გვიამბეთ, როგორ და რა სახსრებით მოხერხდა ჰამლეტის სამშობლოში თქვენი ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა..., წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით როგორ ჩაიარა თქვენმა მივლინებამ?

— ბატონ ვაჟა ტარიელაძისა და ჩემი მიწვევა ბატონ ნიკო ვახანიას ქართული მეცნიერული ალბათური სკოლის მაღალმა საერთაშორისო ავტორიტეტმა განაპირობა. დანიის ერთ-ერთმა მსხვილმა სამეცნიერო ცენტრმა — ორჰუსის უნივერსიტეტმა, ქალაქ სონდერბორგის მახლობლად, ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე საკუთარ ბაზაზე ჩაატარა მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია „ალბათობა ბანახის სივრცეებში“. ამ ფორუმზე 11 ქვეყნის ორმოცდაათამდე წარმომადგენელი შეიკრიბა. იქნებ საგულისხმო იყოს, მაგალითად, ასეთი ციფრები: რუსეთიდან სამი სპეციალისტი მიიწვიეს, ლიტვიდან და საქართველოდან — ორ-ორი, იაპონიიდან, შვეიცარიიდან და ჰოლანდიიდან — თითო-თითო. მთელი ხარჯები, იქით და აქეთ მგზავრობის ჩათვლით, საორგანიზაციო კომიტეტმა დაფარა.

ხიდები

სხდომებზე 45-წუთიანი და 20-წუთიანი მოხსენებები იყო დაგეგმილი. ბატონი ვაჟაც და მეც 45-წუთიანი მოხსენებებით გამოვედით. ეს დარგი, ვფიქრობ, ახლა ერთგვარ კრიზისს განიცდის. მან გარკვეული აზრით ამოწურა თავისი თავი. ამიტომაც იყო, რომ არაერთი გამოსვლა დარგის ფარგლებიდან „ამოვარდნილად“ მიიჩნიეს. ჩვენი მოხსენებები, თავის ქებად თუ არ ჩამითვლით, არასტანდარტული აღმოჩნდა — ყოველ შემთხვევაში, დამწრეთა ინტერესისა და შეფასების მიხედვით. ორივე მიგვიწვიეს იაკობ ბერნულის საზოგადოების მესამე მსოფლიო კონგრესზე, რომელიც 1994 წელს აშშ-ში უნდა გაიმართოს (იაკობ ბერნული გამოჩენილი შვეიცარიელი სწავლული, ბერნულების სახელგანთქმული მათემატიკური დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლავთ — თ. ი.). ჩვენთვის ეს, რასაკვირველია, დიდი პატივია.

— კონფერენცია ალბათობაში კი მოეწყო, მაგრამ, ალბათ, პოლიტიკურ შეკითხვებსაც იძლეოდნენ...

— როგორ არა! გვეკითხებოდნენ — თქვენი აზრით სწორი გზით მიდის თუ არა საქართველო? როგორ აფასებენ შევარდნაძის ფაქტორს? და ასე შემდეგ.

— თქვენ რას პასუხობდით? ეს ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესოა.

— ახლა საქართველოს, რა თქმა უნდა, უმძიმესი პერიოდი უდგას. გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ ეს ომები (რომლებიც ყოველთვის ობიექტური მიზეზებით როდი ჩნდება), ბოლოს და ბოლოს, წარსულს ჩაბარდება. ქართველი ხალხი თავის თავში მონახავს ძალებს კრიზისის დასაძლევად.

შევარდნაძეს რაც შეეხება, მე მჯერა ამ კაცისა, მისი პოლიტიკისა. ჩემი რწმენით, შევარდნაძის პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ ჩვენში ყველა მოქალაქემ ისარგებლოს საქართველოს დალოცვილი მიწა-წყლის ყველა სიკეთით, ყველა მოქალაქეობრივი უფლებით. ამ მხრივ ამჟამად რეალური სიტუაცია ჩვენთან უკეთესია, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ სხვა რეგიონში. მე მგონია, შევარდნაძის უზარმაზარი მსოფლიო ავტორიტეტის მეშვეობით ჩემი სამშობლო — საქართველო ჩიხიდან გამოვა.

— „არამეცნიერული“ შთაბეჭდილებებიდან რომელს გამოყოფდით?

— ერთ-ერთი ასეთი მკაფიო შთაბეჭდილება მონორელსური („უხმაურო“) რკინიგზით მგზავრობას უკავშირდება, როცა თითქმის მთელი დანია გადავსერეთ კოპენჰაგენიდან სონდერბორგამდე. ახალმა არაჩვეულებრივად კომფორტულმა მატარებელმა მე კი არა, დანიელი მასპინძლებიც გააოცა. კუპეში — გრილი ჰაერი და ტაბლო — პუნქტებისა და დროის ჩვენებით; ვაგონში — ავტომატური ტელეფონი, საიდანაც დედამიწის ნებისმიერ წერტილს (თბილისსაც, ცხადია), შეიძლება დაელაპარაკო; კარი მგზავრის მიახლოებისას თავისით იღება. მოკლედ, ეს მატარებელი უახლესი და ურთულესი ავტომატიკით არის გაწყობილი.

ფანჯრიდან მთელი გზის ორივე მხარეს კარგად მოჩანდა, როგორ აქვთ გამოყენებული და აყვავებული ყოველი გოჯი მიწა...

ტურისტული ფირმა
„შატილი“
გიწვევთ სამოგზაუროდ:
ჩინეთი:
ქ. კულჯა ფასი 135 დოლარი 165000 მანეთი.
ქ. ურუმჩი ფასი 250 დოლარი 450000 მანეთი.
ირანი:
ქ. თეირანი 5 დღე თბილისიდან თბილისამდე.
ჩვენი მისამართია:
შ.დადიანის № 8 (თავისუფლების მოედანთან)
ტელეფონი: 93-66-87,
საღამოს საათებში 60-87-37.

ვყიდი
ერთოთახიან
იზოლირებულ,
კოოპერატიულ ბინას
ხუთსართულიანი
სახლის IV სართულზე
დ. ფასანაურში.
საცხოვრებელი ფართი
22 მ^2
ცნობებისათვის
დარეკეთ:
99-83-59, ნათია

ფირმა აშენებს
საბურთალოზე, ყველაზე იაფად, პრესტიჟულ ადგილას, იოსებიძის ქუჩაზე, მეტროსთან და ბაზართან ახლოს, დამკვეთის სურვილის მიხედვით შედგენილი პროექტით დიდი ფართობის ბინებს გარაჟებით.
1 კვ.მ. ფასი 135 დოლარი.
ფუნდამენტები ამოყვანილია. პირველი შესატანი 60 %.
მშენებლობის ხანგრძლივობა 1 წელი.
ტელ: 38-37-56.

ინფორმაცია

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. მაშველთა კორპუსის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 18 აპრილს მდ. ენგურზე ერთმანეთს ხვდებიან აფხაზთა მხარისა და საქართველოს ტყვეთა გაცვლის, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაღუპულთა გადმოსვენების საქმეთა კომისიის წევრები. შეხვედრის მიზანია ტყვეთა და დაღუპულთა გვამების გაცვლის საკითხების მოგვარება.

თბილისი. დეპარტამენტ „საქენერგოს" თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა მეტრეველმა განაცხადა, რომ დეპარტამენტი უკვე შეუდგა მომავალი ზამთრისათვის მზადებას რესპუბლიკის ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით. ამისათვის შედგენილია სპეციალური ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა იმ მასალების და მოწყობილობა-დანადგარებისა, რომლებიც აუცილებელია რესპუბლიკის ელექტროენერგიის გამომუშავებელი საწარმოებისათვის. დოკუმენტები განიხილეს მინისტრთა კაბინეტში. დახმარების გაწევის მიზნით, მთავრობის, აგრეთვე უშუალოდ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა განაგრძობს მოლაპარაკებას რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამსახურებთან.

ჩვენ რუსი კოლეგების იმედი გვაქვს, — აღნიშნა ვაჟა მეტრეველმა, — რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მიზნით შევქმენით ერთობლივი საწარმოები. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დრო საკმაოდ სწრაფად გადის და თუ მრავალი პრობლემა სასწრაფოდ არ გადაწყდა, მომავალი ზამთარი წლევანდელზე უარესი იქნება, რადგან წლის მანძილზე ელექტროსადგურები მაქსიმალურად გაიძარცვა, გაპარტახდა. სჭირდებათ შეკეთება.

თბილისი. ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოვიდა ცნობა, რომლის მიხედვით აშშ-ს საინფორმაციო სამსახურისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ 150 ქართველი მოსწავლისაგან შერჩეულ იქნა 40, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებულ 1994-95 წწ. „ფრიდემ სპოთ იუს იქს ჩეინჯის" პროგრამაში. მოსწავლეები ერთი აკადემიური წლით გაემგზავრებიან აშშ-ში.

მიითვისა ჰუმანური ტვირთი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, შინაგან საქმეთა სამმართველოს ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა ჰუმანური დახმარების სახით მიღებული ტვირთის — ბავშვთა კვების პროდუქტების გატაცებისათვის დააკავეს რუსთავის მე-2 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე. მან 9 აპრილს მე-2 ბავშვთა პოლიკლინიკიდან გაიტაცა და შეითვისა მისთვის მინდობილი ჰუმანური ტვირთი, რომელიც მოსახლეობისათვის უნდა გაენაწილებინათ. პოლიკლინიკის სამდივნოში შემოწმებისას აღმოჩნდა გადამალული პროდუქტები, რომლებიც ჩამორთმეულია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

გაძარცვეს პრესცენტრი

გორი, 18 აპრილი. (საქინფორმის კორ. თემო ნაფეშვილი).

ბოროტმოქმედნი ორჯერ — 11 და 16 აპრილს გატეხეს „ისტუმრინგ" საქინფორმის გორის პრესცენტრს, საიდანაც გაიტაცეს ოფისის გარნიტური „სავანე", ფოტოლაბორატორია შესაბამისი ოპტიკითა და მასალით. ადგილზე განადგურებულია ფოტოხაზების მოწყობილობა და შესაბამისი ფოტომასალები. მთლიანად წაღებულია მილიონ 344 ათასი რუსული მანეთის საქონელი.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იძიებს გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილება.

„ანთიმოზ ივერიელი. ადამიანი და წმინდანი"

კინო

1992 წლის 27 ოქტომბერს მთელს რუმინეთში გაისმა ზარების საზეიმო რეკვა. ისინი მსოფლიოს ამცნობდნენ, რომ წმინდანად შერაცხეს კიდევ ერთი ადამიანი, ანთიმოზ ივერიანუ, ჩვენი თანამემამულე, ანთიმოზ ივერიელი, გასაოცარი, რაღაცნაირი მიუწვდომელი — მისტიკური ბედის ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას, მთელი ცხოვრება შეალია მუხლჩაუხრელ შრომას და არ შემდრკალა, ჯალათის წინაშეც არ უღალატია თავისი იდეებისთვის.

ვლახეთის მრავალტანჯულ მიწა-წყალზე საზეიმოდ რეკავდნენ მისი საკუთარი ხელით აგებული ეკლესიების ზარები, რომლებიც მადლიერ ხალხს მოუწოდებდნენ, მისივე მოხატულ თაღებქვეშ, რომ მრავალგზის გაიმეორონ სიტყვები, რომლებიც აქ აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა გაისმის... „რამდენჯერაც მზე ამობრწყინდება და მზერას მოავლებს რუმინეთის მიწა-წყალს, იმდენჯერ რუმინელი ხალხი მადლიერებითა და პატივისცემით იხსენებს ანთიმოზ ივერიელს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუმინულ ეროვნულ კულტურას და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის".

სამწუხაროდ, საქართველოში ძალზე ცოტა რამ თუ იციან ანთიმოზ ივერიელის შესახებ. ის კი ძალზე განსაკუთრებული პიროვნება იყო. მან საოცარი ცხოვრება განვლო, გასაოცარი ღირსებით იარა თავისი გოლგოთის გზით ღარიბი ბიჭუნადან, რომელიც დავით გარეჯის მონასტერში იზრდებოდა, საქართველოდან შორეული ქვეყნის სულიერ მწყემსთმთავრამდე. საოცარია ასეთი დამთხვევა: ცნობები მის შესახებ არსებობს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი 33 წლის შესრულდა. ქრისტეს ასაკი... იქამდე არავინ იცის თუ საიდან გაჩნდა ამ ქვეყანაში 12 ენის მცოდნე, შესანიშნავი მწერალი, მხატვარი, ხეზე კვეთის ოსტატი, არავინ იცის სად და როდის მომწიფდა მასში სურვილი ადამიანებისთვის მიენიჭებინა ბედნიერება, გაენათლებინა, გაეთავისუფლებინა. ეს ხომ ქრისტეს სურვილებია... მისი ბავშვობის შესახებ ზუსტად მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი: იგი მონად გაყიდეს სტამბოლის ბაზარზე მას შემდეგ, როცა დავით გარეჯის მონასტერს თავს დაესხნენ ყიზილბაშები. ბერები ამოწყვიტეს, ბავშვი კი ტყვედ წაიყვანეს. საერო ცხოვრებაში მას ანდრიას ეძახდნენ. ანთიმოზი კი შემდეგ გახდა, მან დაირქვა გარეჯის ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვრის სახელი, რომელმაც პირველმა შეასწავლა კალიგრაფია, სალებავების შეზავება, წიგნის ყდისათვის ტყავის გამოქნა, ხატმწერლობა და ბევრი სხვა რამ, რამაც შემდეგ საოცარი ნაყოფი გამოიღო თვითშეწირვის სარბიელზე. ხოლო მონათა ბაზრიდან ვლახეთის მიწაზე მის გამოჩენას შორის მისი ცხოვრებისეული გზის მონაკვეთი საიდუმლოებით არის მოცული. არც ერთ წიგნში არსად მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, სახელდობრ სად და ვის ხელში გადაიქცა იგი იმ პიროვნებად, რომელიც მზად იყო მომავალში ამდენი კეთილი საქმე აღესრულებინა.

ეს საიდუმლო მოსვენებას არ აძლევს ქართველ კინემატოგრაფისტებსაც. ამგვარ ადამიანთა ბედი ნაყოფიერი მასალაა ეკრანისათვის. ასეთ ადამიანთა ცხოვრება მუდამ ტრაგიკულია, მუდამ სავსეა მოვლენებით, რომლებსაც ძალუძთ ადამიანი აალელვონ ასწლეულების შემდეგაც, რადგანაც მათი აზრები და საქციელი არაორდინალურია, არ ექვემდებარება ვიღაცის მიერ ჩამოყალიბებულ ცხოვრებისეულ ლოგიკას. მათი აზრები და საქციელი ანგრევენ რუტინას, აშრობენ მეშჩანობის ჭაობს, სინათლეს აჩენენ გვირაბის ბოლოს. ეკრანს, ისევე როგორც ჩვენს ცხოვრებაშია, ყოველთვის არ ყოფნის ასეთი გმირები.

შორეულ რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის კვალს ადევნებული რეჟისორი და მსახიობი გიული ჭოხონელიძე და მისი გადამღები ჯგუფი იქ ორმა მიზანმა მიიყვანა: ჯერ ერთი, რუმინელ კინემატოგრაფისტებთან კონტაქტების დასამყარებლად ორსერიანი კინოეპოპეის „ანთიმოზ ივერიელის" გადასაღებად ერთობლივი მუშაობისათვის, რომელიც ჩვენს კინოსტუდიაში უკვე წარმოებაშია ჩაშვებული. მაგრამ გადაღებებისთვის საჭიროა რუმინული ინტერიერებიც, იქაური კოსტიუმების მხატვრებიც, მსახიობებიც, ტიპაჟებიც, საგნებიც, რომლებსაც ანთიმოზის ხელი შეხებია, მისი ეპოქის მუსიკის აჟღერებაც, ერთი სიტყვით, ფილმი წარმოუდგენელია იმ ატმოსფეროს გაუთვალისწინებლად, რომლითაც მომავალი ფილმის გმირი სუნთქავდა. და, მეორეც, ისე მოხდა, რომ გადამღები ჯგუფის ბუქარესტში ჩასვლა დაემთხვა ანთიმოზ ივერიელის წმინდანად შერაცხვის ცერემონიალს. ამის შედეგად შეიქმნა ორმოცწუთიანი დოკუმენტური ფილმი, რომელსაც ასევე „ანთიმოზ ივერიელი" უწოდეს და რომლის ჟანრის დასახელებაც უცბად ძალზე ძნელია. ეს თითქოს ნარკვევია კონკრეტული მოვლენის შესახებ, ამავე დროს ეს არის ცეცხლოვანი თხრობა, რომელიც აღსავსეა დაუფარავი სიამაყით ჩვენი დიდი წინაპრის გამო. და კიდევ, ეს თითქოსდა იმ გრანდიოზული მუშაობის დასაწყისია, ახლა რომ იწყება და გადამღები კამერა ჩქარობს გვიჩვენოს, რაც შეიძლება ბევრი რამ ყოველივე იმისაგან, რაც ანთიმოზმა კაცობრიობას დაუტოვა, მონასტრის მკაცრ ბინდბუნდში სათუთად ელაციცება ანთიმოზის ხელით ნახატ ფრესკებს. გვიჩვენებს ანთიმოზის მოხატებულ მისი საცხოვრებელი სენაკის კარებს, სადაც წლების მანძილზე ალბათ სამშობლოზე ნაღვლობდა, და ხშირად დედის სახე ელანდებოდა, ესმოდა მშობლიური ხმები — მრავალი წლის მანძილზე უცხოეთში ყოფნისას მივიწყებული მშობლიური მხარის სიმღერები, რომლებიც კვლავინდებურად უფორიაქებდა ანთიმოზს სულს და, ბუნებრივია, შეერწყა მისი მეორე სამშობლოს სიმღერებს, სადაც იგი 27 წელიწადს ცხოვრობდა. ამ მოკლე, მაგრამ ასეთი ტევადი ფილმის კადრები მოითხოვდა განსაკუთრებულ მუსიკალურ ატმოსფეროს, რომელშიც ერთმანეთს შეერწყმოდა საქართველოსა და რუმინეთის ჰანგები. და აქ მე, როგორც ფილმის ხმის ოპერატორს, დამეხმარნენ ეკლესიის ზარები. ისინი გადაიქცნენ მელოდიურ ქვაკუთხედად, რომელმაც ფილმის ლაიტმოტივში ერთ მელოდიად შეადუღაბა მშობლიური მიწა-წყლის გახსენების ნოსტალგიური ნოტა, რომელიც ჩვენი აზრით არ შეიძლებოდა, რომ ანთიმოზს დავიწყებოდა.

მშვენიერია ფილმი იმიტომ... რომ ლამაზია ანთიმოზის აგებული შენობები, ლამაზია მის მიერ დაბეჭდილი წიგნები, მისი ხელქმნილი კედლის მოხატულობა, რომლებიც რუმინელებმა დღევანდლამდე შემოინახეს, ლამაზია მორიტუალე ადამიანთა სახეები, მათი საეკლესიო სამოსელი, ზედ რომ იღვრება მზიური ოქრომკედი და ნაზი ცისფერი ფირუზი, საიდანაც დაუსრულებლად ჟღერს ზარების გამჭვირვალე წკრიალი, რომლებიც უერთდება ლამაზ სიტყვებს, იმ დღეს რომ წარმოთქვა ახალშერაცხული წმინდანების სადიდებლად. ავტორებიც მოუთმენელნი არიან ისევე, როგორც კინოკამერა, ისინი ცდილობენ რამდენიმე წუთში რაც შეიძლება მეტი გვიამბონ თავისი გმირის შესახებ. და თვითონვე გვეკითხებიან: „მაშ ვინ არის ადამიანი და წმინდანი, ანთიმოზ ივერიელი, საიდან მოევლინა იგი ხალხს, ვინ მიანიჭა მას ამდენი ძალა და ნებისყოფა?"... და იქვე თვითონვე უპასუხებს ამ კითხვებს, არ ასვენებენ არც კამერას, არც სალებავებს, არც ხმოვანებას. არაფერს იტოვებენ „სახვალიოდ". მაყურებელი ბევრი რამის გაგებას ასწრებს: წარსულის შესახებაც, იმ ეპოქის დიდი პიროვნებათა საქმეებზეც, ვასწრებთ მოვისმინოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ნაამბობიც, რომელმაც დალოცა ქართველ და რუმინელ კინემატოგრაფისტთა ერთობლივი მუშაობა და დიდ დახმარებას უწევს კინოჯგუფს. ეს მისი ნებართვისა და მფარველობის შედეგია, რომ ჯგუფს უფლება მისცეს გადაღებები აწარმოოს მონასტრებში და ყოველ გადაღებაზე აუცილებლად ესწრება საეკლესიო წეს-ჩვეულებების მცოდნე კონსულტანტი. უხვი მასალის გამო ფილმი სცდება უბრალო ინფორმაციის ფარგლებს. იგი თითქოს ახალი წიგნის ჯერ კიდევ წაუკითხავი ფურცელი ხდება, რომლის გმირი რეალური პიროვნებაა, მაგრამ აქამდე უცნობია ჩვენი თანამედროვეებისათვის, თუმცა ისინი ხომ ჩვენი ფესვები არიან, რომლებიც ოდესღაც იმავე მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ, სადაც ახლა ჩვენ ვანთებთ სანთლებს მათ აგებულ მონასტრებში, და იმედით წარმოვთქვამთ ღვთის სახელს. ისინი ღმერთსაც და ხალხსაც ემსახურებოდნენ, სახელოვნად და უნარიანად, რაც ჩვენი ხსოვნის ღირსია. მათი დავიწყებით ჩვენს საკუთარ თავსაც ვივიწყებთ. როცა მათ ვაცოცხლებთ ჩვენს მეხსიერებაში, ჩვენ ვცოცხლდებით.

დოკუმენტური ფილმი „ანთიმოზ ივერიელი" ჩვენი ხსოვნის ერთ-ერთი ანთებული სანთელია.

ბარი კუნცევი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

როგორც გვიუწყებოდით, 10 აპრილს, საღამოს მოვარდნილმა გრიგალმა საგრძნობი ზარალი მიაყენა იმერეთის რაიონებს, მათ შორის — თერჯოლას.

ამ უბედურებამ რაიონში დააზიანა 254 საცხოვრებელი სახლი და 142 საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი.

გრიგალმა სახურავი მთლიანად ახადა სოფელ ჭოგნარში აჭარიდან გადმოსახლებულთა საცხოვრებელ სახლებს. აგრეთვე სოფელ ალისუბნის ბაგა-ბაღს, გოგნისა და ჭოგნარის სკოლებს, თერჯოლის მეფრინველეობის ფაბრიკას, ჯანმრთელობის, კულტურისა და სოფლის მეურნეობის ობიექტებს.

მწყობრიდან გამოიყვანა აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზები და კავშირგაბმულობის კომუნიკაციები. ზარალმა 20 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

15 აპრილს სტიქიის შედეგები დაათვალიერა საქართველოს ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა, რომელსაც ახლდნენ რესპუბლიკის საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარე ბორის სარალიძე, პურ-პროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი ანზორ ბურჯანაძე, პარლამენტის წევრები: ამირან ქაშაკაშვილი, და ივერი ჭელიძე. მათ თან ახლდა რაიონის გამგებელი გიორგი ამირანაშვილი.

ავთანდილ მარგიანი და მისი თანმხლები პირები შეხვდნენ რაიონის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, სოფლების გამგებლებს, დარგის ხელმძღვანელებს და მათგან ინფორმაციები მოისმინეს.

ვიცე-პრემიერმა შეაჯამა დათვალიერების შედეგები და თერჯოლის რაიონის მშრომელებს მთავრობის სახელით აღუთქვა მატერიალური და ფინანსური დახმარება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ჰენრი შარიქაძე.

განცხადება

ხუთშაბათს, 21 აპრილს, დილის 11.00 საათზე, მოეწყობა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკების შეხვედრა სოციალურ და საყოფაცხოვრებო საკითხებზე.

მოეწყობა კონსულტაციები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაჭრილ მეომრებთან, დაჭრილი და დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებთან.

შეხვედრა გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა სახლში (მეტრო „დელისი", ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 43). ტელეფონი: 98-97-37.

გთხოვთ მობრძანდეთ.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად მანქანათა მექანიკის, სამთო მექანიკის, სამშენებლო მექანიკისა და ავტომატური მართვის დარგში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებას: რუსთაველის პროსპექტი, №52, ოთახი № 406.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

ღვაწლი

სიკეთისა და ცოდნის მთესვარი

ვალერიან ზუხბაია სოხუმელი პროფესორი გახლავთ, გეოლოგია-მინერალოგიის სპეციალისტი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი. მის კალამს ეკუთვნის უმაღლესი სასწავლებლებისთვის შექმნილი ექვსი სახელმძღვანელო (ზოგადი გეოლოგია, მინერალოგია, პეტროგრაფია, მხარეთმცოდნეობა).

ბატონი ვალერიანი წლების მანძილზე სწავლობდა ქართული ქვის კულტურის ისტორიას — გამოქვეყნებული აქვს სამი მონოგრაფია: „ქვის კულტურა საქართველოში" (1965), „საქართველოს დეკორატიული და ფერადი ქვები" (1974), „ძვირფასი და ტექნიკური ქვები" (1980).

მეცნიერ-პედაგოგი ავტორია ხატოვანი ენით დაწერილი საინტერესო საყმაწვილო წიგნებისა: „რას გვიამბობს საქართველოს მიწა" (1959), „ქართლის ცხოვრების ქვის ფურცლები" (1975), „განძი ქართული მიწისა" (1984), ცალკე უნდა აღინიშნოს 1984 წელს გამოცემული წიგნი „მტკვარი — საქართველოს დიდა-მდინარე".

ვ. ზუხბაიამ ორი ნარკვევი მიუძღვნა მშობლიურ გალის რაიონს: „სოფელი ოქუმი" (1946) და „გალი" (1988). ამ უკანასკნელში განხილულია ძველი სამურზაყანოს — თანამედროვე გალის რაიონის ბუნება, ისტორია, ეკონომიკა.

თბილისის გამომცემლობებმა მოიწონეს და დასაბეჭდად მიიღეს მისივე „საქართველოს ოქრო", „ქალაქი სოხუმი" (ბუნება და ისტორია), „საველე გეოლოგიური პრაქტიკა" — სახელმძღვანელო სტუდენტთა და დამწყებ გეოლოგთათვის, პუბლიცისტური წერილების კრებული „აფხაზეთო ჩემო". უქაღალდობის გამო ეს წიგნები ჭირჭირობით ვერ დაიბეჭდა. უეჭველია, ჩვენი გამომცემლობები, როგორც კი ხელს მოითქვამენ, მკითხველს მიაწოდებენ ამ ნაშრომებს. აქ არაფერს ვამბობ იმ დიდი მოცულობის ხელნაწერებზე, რომელთაც ჭირ არ გაუვლიათ რედაქტორების ხელში.

მეცნიერმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკურ ლაბორატორიას გადასცა მის მიერ შედგენილი აფხაზეთის ოთხი ათასი გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობის განმარტება. მოამზადა ცნობარი „ქართული გვარების გეოგრაფია", გამოაქვეყნა ფრიად საგულისხმო გამოკვლევა: „X-XI-XII საუკუნეთა ქართული ხელნაწერები მინერალთა თვისებების შესახებ" (1969).

გეოლოგმა ვალერიან ზუხბაიამ სამი წერილი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანს", მათ შორის „ძვირფასი ქვები „ვეფხისტყაოსნის" რუსულ თარგმანებში" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №8, 1982).

ჟურნალ „რიწაში" დაიბეჭდა წერილები თედო სახოკიას, კონდრატე თათარაშვილის (უიარაღოს), ანთიმოზ ჯუღელის, კონსტანტინე მაჭავარიანის აფხაზეთში მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე „სოხუმი ილია ჭავჭავაძის „ივერიაში"", ზუგდიდის ალმანახში — ცნობები XIX საუკუნის უცნობ მწიგნობარ ბასილ ცხაკაიაზე (1988).

ვ. ზუხბაია წლების მანძილზე მართალი მეცნიერული სიტყვით ებრძოდა იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ტენდენციურად აშუქებდნენ აფხაზეთის ისტორიას...

ვალერიან ზუხბაიას მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა დროს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გულთბილი სტრიქონები უძღვნეს პროფესორებმა ალ. კალანდაძემ, მ. ძველაიამ, ალ. მოწერელიამ, აკ. ქორესელიძემ, ვ. ქარჩავამ, ბ. კვარაცხელიამ, დოცენტებმა ქ. მგელაძემ, ი. სილინაძემ, დ. ნოზაძემ, მწერლებმა ჯანო ჯანელიძემ, ავგენი აქუბარდიამ...

ბატონი ვალერიანი სხვადასხვა დროს მუშაობდა ქალაქ გალის საშუალო სკოლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, გეოლოგიის ინსტიტუტში, სოხუმის, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

ნათქვამი და ჩამოთვლილი ნათლად მეტყველებს შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობაზე, იშვიათ შრომისმოყვარეობაზე, დაუშრეტელ ენერგიაზე.

იოლი ხომ არ არის ამდენი შრომა, ამდენი წიგნი, ასე მრავალმხრივი ინტერესი და ღრმა განსწავლულობა!

ამას დაუმატეთ სამოცი წლის განუწყვეტელი პედაგოგიური მოღვაწეობა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ სამოციდან თორმეტი წელი ბატონმა ვალერიანმა თავის გალს — სამურზაყანოს მოახმარა.

ო, გალი, გალი! რამდენი საამაყო მამულიშვილი გაუზრდია ამ დალოცვილს ძირძველ საქართველოსთვის!

• • •

...ღმერთო ჩემო! რა დრო გასულა მას შემდეგ, რაც პირველად გიხილეთ გალის მეორე საშუალო სკოლის ეზოში...

ბატონო ვალიკო! ოთხმოცი წელი ფეხაკრეფით მოგდგომიათ კარს. მინდა მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე. დიდი მადლობა იმისათვის, რომ სიკეთისა და ცოდნის, გულუხვი მთესვარი ბრძანდებით.

ვაგლახ, პედაგოგიურ და სამეცნიერო სარბიელზე თქვენს გამარჯვებას ვერ მოესწრნენ თქვენი საყვარელი უფროსი მეგობრები ბაგრატ ხორავა, გიორგი ტორუა, იროდიონ ეზვაია (თაყუშვილის ფსევდონიმით რომ აქვეყნებდა თავის მგრძნობიარე ლექსებს)...

პატივცემულო მასწავლებელო!

ღმერთმა თქვენს ოჯახთან ერთად მალე მშვიდობით და ბედნიერად დაგაბრუნოთ თქვენს ნაამაგარ, საყვარელ, მშობლიურ ქალაქში!

ხუტა ბერულავა.

10 აპრილი, 1994.

ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის პროგრამა წარმატებით ხორციელდება

დედამიწის გარშემო მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და დედაქალაქის გავლით მარტოდმარტო ველოსიპედით მოგზაური, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ჯუმბერ ლეჟავა არაბთა გაერთიანებული საემიროების ქალაქ დუბაიში შეხვდა საგამომგონებლო სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „თემურ მაისურაძის" წარმომადგენელს; სატელევიზიო პროგრამა „ირაოს" ოპერატორმა მსოფლიო მოგზაურს გადასცა ახალი თბილისური ფოსტა და ფირმის დავალებები, ამასთანავე, ფირზე აღბეჭდა მოგზაურის საუბრები, მე-2 ეტაპის დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი.

ჯუმბერ ლეჟავამ განაცხადა, რომ თავს ჩინებულად გრძნობს, მოგზაურობის პროგრამა წარმატებით ხორციელდება. დღემდე გაიარა 22 ათასი კილომეტრი...

მოგზაურს საქართველოს ცნობილი ტურისტული ფირმა „დაჩის" წარმომადგენლებმა დუბაიში სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს — უყიდეს იაპონური სამთო ველოსიპედი, რომელიც სიმსუბუქითა და ზესიმტკიცით გამოირჩევა. როცა მაღაზიის მესვეურმა გაიგო ამ საოცარი მოგზაურობის ამბავი, ველოსიპედი ნახევარ ფასად მიჰყიდა! ამავე დროს, ფირმა „თემურ მაისურაძის" მეშვეობით იგი ახალი სპორტული ტანსაცმლითა და სხვა აუცილებელი საშუალებებითაა ეკიპირებული.

რაც შეეხება ხარკოვის ველოსიპედ „ტურისტს", მან მრავალი არაბული ქვეყნის ურთულეს გზებს გაუძლო. მოგზაურმა ხარკოვის ქარხანას მადლობის წერილი გაუგზავნა.

ახლა მოგზაურობის მე-9 თვეა. ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ადრე დაგეგმილი 80-100 კმ-ის ნაცვლად ყოველდღიურად ორჯერ მეტ მანძილს გადის.

უკან დარჩა 22 000 კილომეტრი

თბილისელი ინჟინერი, გინესის თერთმეტგზის რეკორდსმენი, თავისი ცხოვრების წესით მშვიდობას, მეგობრობას და სიყვარულს ემსახურება. ორგზის კლინიკური სიკვდილგადატანილმა მსოფლიოს უნდა შესთავაზოს სამკურნალო ვარჯიშის ნაცადი ხერხი და გააცნოს მრავალტანჯული სამშობლოს — საქართველოს წარსული და აწმყო. მისი დევიზია, შოთა რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"...

ყველა ქვეყანაში, სადაც კი გაიარა, მოგზაურმა ღირსეულად წარმოაჩინა საქართველო, ეს ეხება არა მხოლოდ სპორტულ პროგრამას — საჩვენებელ ვარჯიშებს; ჯ. ლეჟავასაგან მასპინძელი ქვეყანა იღებს უტყუარ ინფორმაციას საქართველოს ახლანდელი ვითარების შესახებ. პასუხად მოდის თანადგომის, დახმარების და თანამშრომლობის კეთილი თაოსნობანი, რომლებიც ფირმა „თემურ მაისურაძის" საშუალებით განხორციელდება...

მოგზაურის დღიურებმა და წერილებმა უკვე 700 ფურცელი შეადგინა. ორჯერ მეტია ფოტოკადრი, რომლებიც მოგზაურობის ყველაზე დაუვიწყარ სურათებს წარმოაჩენს. ამავე დროს, როგორც ბიოლოგიური და ფიზიკური ზღვრული სისტემების მკვლევარი, იგი ასრულებს თავისი ფირმის საგანგებო დავალებას, მაგრამ ამ კვლევა-ძიების შედეგები ფართო საზოგადოებრიობას მხოლოდ მოგზაურობის დამთავრების შემდეგ... 2000 წლის დამდეგს მოხსენდება.

მსოფლიო მოგზაურის მიმართ სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ სხვადასხვა ქვეყნის სააგენტოები, პრესა, რადიო და ტელევიზია. როგორც სასურველ და საპატიო სტუმარს, ისე ხვდებიან ქართველ მოგზაურს და ასევე სიყვარულით ულოცავენ გზას მეზობელი ქვეყნისაკენ.

მსოფლიო მოგზაურის გულშემატკივრები სულ მალე ერთდროულად მიიღებენ 16-გვერდიანი გაზეთის „მსოფლიო მოგზაურის" პირველ სამ ნომერს და ბროშურას „ვარჯიშითა სიკვდილისა დამთრგუნველი — სულისა და სხეულის ჰარმონია".

პირველ აპრილს, 16 საათისათვის მსოფლიო მოგზაური დუბაიდან კატარის გზას დაადგა...

მსოფლიო მოგზაურობის სააგენტო.

სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა

ონის მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის სახლთან (დირექტორი — იზა ახვლედიანი) არსებულმა საბავშვო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ა. წერეთლის პიესა „ქინტო", რომელიც მაღალოსტატურად დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გოგა ჯაფარიძემ, ონელ თეატრის მოყვარულთა მოეწონათ მსახიობთა თამაში. საერთოდ, სპექტაკლმა მომავლის იმედი ჩაუსახა დღევანდელობის ათასი პრობლემით შეჭირვებულ ადამიანებს.

ნესტორ დუშუაშვილი,
„სრ" შტატგარეშე კორესპონდენტი.

ამაგი არ დაიკარგება

სპორტულ სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჟურნალ „ჟენშჩინი მირას" პრიზის ტრადიციული გათამაშება, რომელიც მოსკოვში იმართება. ამ უაღრესად პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე ამჯერად 10 ქვეყნის „ფერიები" ასპარეზობდნენ და საამაყოა, რომ საქართველოს წარგზავნილებმა 2 ვერცხლის მედალი დაიმსახურეს: ალიონა კულიბერდამ ერთეულთა თანრიგში და ხათუნა გოციროძე-ალიონა კულიბერდას დუეტმა წყვილებში.

ეს წარმატება მოპოვებულია საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჭანკოტაძის, მისი მოადგილის ჯემალ კახიანის, ავიაკომპანია „ორბის" გენერალური დირექტორის ვასილ ჯამბაზიშვილის, საერთაშორისო ბიზნეს-ცენტრის-სააქციო საზოგადოება „კოლტეროსის" პრეზიდენტის კობა ჯიბლაშვილისა და საშუამავლო კომერციული ფირმა „ტოპ-ტორის" პრეზიდენტის გრიგოლ კვარაცხელიას ძალისხმევითა და უანგარო დახმარებით, რომლებმაც უზრუნველყვეს საქართველოს წარმომადგენელთა გამგზავრება და მონაწილეობა რუსეთის დედაქალაქში დასრულებულ შეჯიბრებაზე. მათვე უნდა ვუმადლოდეთ, რომ დასახელებული სპორტსმენები მოსკოვში ემზადებიან რუსეთის ღია ჩემპიონატისათვის (ქ. ელექტროსტალი), ისევე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეები და წყალში მხტომელები ცხელი წყლის უქონლობით გამოწვეული საცურაო აუზების უმოქმედობის გამო იქვე ემზადებიან ფინეთის თასის გათამაშებისა და ევროპის ჩემპიონატებისათვის (მოსკოვი და პარდუბიცე, ჩეხეთი).

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა კონფედერაციის სპორტსმენების, მწვრთნელების, პრეზიდიუმისა და პრეზიდენტის — ბაკურ გულუას სახელით ამ ღვთისნიერ და ხვალინდელი დღის რწმენით გამსჭვალულ ადამიანებს უღრმესი მადლობა მოვახსენოთ.

გივი ცქიტიშვილი.
საქართველოს რესპუბლიკის სპორტის საწყლოსნო სახეობათა კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

თავისუფალი ჭიდაობა

ოლიმპიური ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის პირველი მწვრთნელი, 66 წლის ონელი ფალავანი ალექსანდრე მაისურაძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა ვეტერანთა შორის. რომში დამთავრებულ ტურნირზე ბადალი არ ჰყავდა 58 კგ. წონით კატეგორიაში.

ჭადრაკი

უმაღლესი ლიგის ქალთა ეროვნულ ჩემპიონატს 4 ტურის შემდეგ 4 ქულით ლიდერობს ინგა ხურცილავა, რომელიც ნახევარი ქულით უსწრებს მირანდა ხორავას, 3-3 ქულა მოაგროვეს ნათია ჯანჯღავამ და მაია ლომინეიშვილმა.

რაგბი

საქართველოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს რუსთავის „აზოტის" მორაგბეებმა. მათ მორიგ ტურში შინ დაჯაბნეს ქუთაისის „აია" — 55:9 და ვადამდე დაიმსახურეს ოქროს მედლები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ფირმა «დილერი»
იღებს ანაბრებს ამერიკულ დოლარებში:
1 თვით 13 %
2 თვით 15 % თვეში
3 თვით 17 % თვეში
დაწვრილებითი ცნობებისათვის
მიმართეთ მისამართზე: სასტუმრო „აჭარა". ოთახი № 106.
ტელ: 98-53-59, 36-92-36

ინგლისურ-ამერიკული კომპანია
XEROX
THE DOCUMENT COMPANY-ს
ოფიციალური წარმომადგენელი
გთავაზობთ მაღალი ტექნოლოგიის უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა სახისა და დანიშნულების
ასლგადამღებ აპარატებს
ფაქსებს
ლაზერულ პრინტერებს
საბეჭდ მანქანებს
მათთვის საჭირო სათადარიგო
და სახარჯ მასალებს
საკანცელარიო საქონელს
საგარანტიო და პოსტსაგარანტიო მომსახურებით
საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ჩვენი ინჟინერები მოგიხსნიან დანადგარების მოხმარების დროს წარმოქმნილ შესაძლო სირთულეებს
ჩვენ მზად ვართ გადავწყვიტოთ
დოკუმენტებთან არსებული
ყველა თქვენი
პრობლემა!
tel: 98-36-31 fax: 98-96-58 tlx:212958 ESABI

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი გაზეთის აქტივისტს, ცნობილ წამალთმცოდნეს სოკრატ სალუქვაძეს დედის
ლუბა კონსტანტინეს ასულ მჟავია-სალუქვაძის
გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
ინდექსი 66681